
**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

დავით ამაღლობელი
ანა ჩიგუხაშვილი

მხირა ბიზნესი საქართველოში 3

ბრიგოლ ფანცულანია

პრივატიზაცია 17

დავით ლომიძე

ეკონომიკური მიმოხილვა 30

მცირე ბიზნესი საქართველოში

■ დავით ამაღლობელი ანა ჩიბუხაშვილი

მცირე ბიზნესის სექტორის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს, რადგან მას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის საკითხში. მცირე საწარმოები ხელს უწყობენ კონკურენციისა და თავისუფალი მენარმეობის განვითარებას, ქვეყნის შიგნით მოქმედ ათასობით საწარმოს არ ძალუძს რაიმე ზენოლა მოახდინოს საკუთარი პროდუქციის სარეალიზაციო ფასზე აღნიშნული პროდუქციის ბაზარზე ამა თუ იმ ფირმის უმნიშვნელო წილის გამო. არსებულ გარემოში მცირე ფირმები თვითონ გამოდიან კონკურენციის სუბიექტებად, ამიტომაც ისინი იძულებული ხდებიან პერმანენტულად ეძიონ საკუთარი წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფისა და პროდუქციის გაუმჯობესების გზები.

მცირე ბიზნესის სექტორის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს

ახალი და მცირე ზომის ფირმები უფრო ქმედითუნარიანნი არიან სამუშაო ადგილების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეში, ვიდრე ძველი, მსხვილი საწარმოები. ამას ადასტურებს აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება და აგრეთვე დსთ-ს ფარგლებში ჩატარებული ადრეული კვლევები.

მცირე საწარმოების ბაზარზე შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები შესაძლებლობას იძლევა შედარებით უმტკივნეულოდ მოვახდინოთ საბჭოთა კავშირიდან გადმოყოლილი გიგანტი საწარმოების რესტრუქტურირება, რაც საქართველოში საწარმოს იქნება, რომ ბიზნესი ასახავდეს ადგილობრივ საბაზრო მოთხოვნებს.

ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ სტაბილურ ეკონომიკას, რომელიც მოიცავს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული რეფორმებისა და პოლიტიკური სტაბილურობის საქმეში.

მცირე საწარმოების მართვას არ ესაჭიროება დიდი კაპიტალი, ძალზედ რთული ტექნოლოგიები,

მენეჯმენტისა და მარკეტინგის სრულყოფილი ან სიღრმისეული ცოდნა, ამიტომაც ყოველ ინიციატივიან ადამიანს აქვს შესაძლებლობა ხორცი შეასხას საკუთარ იდეას. ამასთან მცირე საწარმონარმოადგენს უფრო მსხვილი ფირმების ჩამოყალიბების საფუძველს. მცირე ბიზნესი, განსხვავებით მსხვილისაგან, იძლევა შესანიშნავ პირობებს ტექნიკური და კომერციული იდეების სწრაფი რეალიზაციისათვის.

განსაკუთრებით დიდია მცირე ბიზნესის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში. მცირე საწარმოები გაცილებით მოქნილნი არიან, ვიდრე შედარებით მსხვილი საწარმოები, ამიტომაც მათ აქვთ საშუალება ადვილად მოახდინონ ადაპტირება საბაზრო კონიუქტურის ნებისმიერ ცვლილებაზე, დროისა და რესურსების ნაკლები დანახარჯების პირობებში. ყოველივე ამაში მცირე საწარმოებს ეხმარება ბაზართან და მომხმარებელთან

უშუალოდ შეხების ქონა და ვინრო სპეციალიზაციის ტექნიკური პერსონალი. მძაფრი კონკურენცია დარგის შიგნით, დამატებით ზენოლას უქმნის მცირე საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც მუდმივად ახლის ძიებაში იმყოფებიან. ასევე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მცირე საწარმოს შიგნით უფრო ძლიერია ერთსულოვნება დასაკუთრების შეგრძნება, ვიდრე დიდში.

მცირე ბიზნესის განვითარება ძველიდან სავალდებულო შემოსავლების გადინების თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა

მცირე საწარმოები გამოდიან როგორც დიდი კომპანიების მომსახურენი და მიმწოდებლები, რაც მთლიანობაში უწყობს ხელს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას. ამასთან, დიდი კომპანიების მიმწოდებლების წრის გაფართოება ხელს უწყობს ქვეყანაში სპეციალიზაციის გაფართოებას. კარგ მაგალითს წარმოადგენს გერმანული ავტომშენებლობის მრეწველობა. ამ დარგში რამოდენიმე მსხვილი კომპანია მოღვაწეობს, რომელთათვის მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდება და მომსახურების განევა ძირითადად 30 000-მდე მცირე საწარმოს საშუალებით ხორციელდება. შრომის ამგვარმა დანაწილებამ განაპირობა სწორედ გერმანიის

ავტომრეწველობის მნიშვნელოვანი წარმატება. მცირე საწარმოები როგორც წესი შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობენ ქვეყნის ექსპორტის გაფართოების საქმეში, სამაგიეროდ ფასდაუდებელია მათი მნიშვნელობა სავალუტო რეზერვების ეკონომიის მხრივ. მცირე საწარმოები ძირითადად იმ პროდუქციის მწარმოებლები არიან, რომლებიც ქვეყანაში იმპორტის საშუალებით შემოიტანება, რაც იმპორტის შეზღუდვის და შესაბამისად სავალუტო შემოსავლების ქვეყნის გარეთ გადინების თავიდან აცილების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ცენტრალური გეგმიური ეკონომიკის პირობებში მცირე საწარმოები განიცდიდნენ დისკრიმინაციას სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო დღეს კი მათ უხდებათ მრავალი დაბრკოლებისა და შეზღუდვის პირობებში არსებობა, რაც გარდამავალი პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომაც მცირე ბიზნესის განვითარებაზე ორიენტაციის აღება, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნას და უფრო სწორი კურსის ჩამოყალიბებას, რაც მსხვილი საწარმოებიდან მცირე საწარმოებზე აქცენტის გაკეთებაში გამოიხატება.

მცირე ბიზნესის განვითარება ეკონომიკის განვითარებას

მცირე საწარმოების, როგორც ცალკე კატეგორიის გამოყოფა ხდება იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ გარკვეული მხარდაჭერა გაუწიოს და დაეხმაროს მათ. დახმარების ფორმებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ხოლო აქ შეიძლება გამოვყოთ ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც ამგვარი პოლიტიკის ერთ-ერთ

სასიკეთო შედეგს წარმოადგენს. მცირე ბიზნესის საწარმოთათვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნა საშუალებას მოგვცემს

გარკვეულწილად შევამციროთ „შავი ბაზრის“ მოცულობა ქვეყანაში. დღესდღეობით ბევრი წვრილი მენარმე არაღელგალურად მოქმედებს, რითაც ურთულებს მდგომარეობას როგორც საკუთარ თავს, ისე მთლიანად საზოგადოებას. ამიტომაც მცირე ბიზნესის წახალისება გახდება სტიმული „ჩრდილში“ მოქცეული მცირე საწარმოთათვის, რომ მოახდინონ საკუთარი საქმიანობის ლეგალიზება.

ინსტიტუციონალური და ძირითადი მაკროეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებელ პოლიტიკას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მცირე ბიზნესის სექტორის განვითარების საქმეში. მაგრამ, გასარკვევია, თუ რა ფარგლებში უნდა განახორციელოს

სახელმწიფომ აქტიური ზომები კერძო ფირმების მხარდასაჭერად.

საქართველო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფება. მაშინ როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სტრუქტურული პოლიტიკის ზომები მიმართულია გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებების არასასურველი სოციალური შედეგების შემცირებისაკენ და ეკონომიკაში დინამიური იმპულსების გაძლიერებისაკენ. საქართველო დგას ძველი სისტემის უნიკალური და ტოტალური კოლაპსის შედეგების წინაშე, რომელთა გვერდის ავლა არ შეიძლება ჩვეულებრივი დასავლთ-ევროპული ან ჩრდილო-ამერიკული სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში. საწყის პირობებს საქართველოში უფრო მეტი პარალელები აქვს განვითარებად, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან. საქართველოში სახელმწიფოს თავშეკავება სტრუქტურულ პოლიტიკაში ჩარევისაგან არც პოლიტიკურადაა რეკომენდირებული და არც პრაქტიკულადაა შესაძლებელი.

მიუხედავად იმ უზარმაზარი მნიშვნელობისა, რომელიც მცირე ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის ენიჭება,

საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. თუმცა უნდა აღინიშნოს გარკვეული საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც მოწოდებულია დაარეგულიროს მცირე ბიზნესის სფეროში არსებული ურთიერთობები. კერძოდ,

მიუხედავად იმ უზარმაზარი მნიშვნელობისა, რომელიც მცირე ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის ენიჭება, საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა

1993 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება „საქართველოში კერძო მენარმეობის განვითარების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ (1993 წლის 19 მაისი), მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 3 აგვისტოს №585-ე კერძო მენარმეობის მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამის შესახებ, კანონი „მენარმეთა შესახებ“ (1994 წლის 28 ოქტომბერი), კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (1996 წლის 25 ივნისი) და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მაგრამ აღნიშნული კანონების მიღება არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მცირე ზომის საწარმოთა განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღნიშვნის ღირსია თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე არ არსებობს მცირე ბიზნესის სუბიექტთა ოფიციალური განსაზღვრება, თუმცა სახელმწიფო დონეზე შექმნილი ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი მოწოდებულია ფინანსური დახმარება გაუწიოს მცირე ბიზნესის საწარმოებს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადანყდა მიღებული იქნეს სპეციალური კანონი „მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“, რომლის პროექტიც მომზადებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტში. აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა საგრძნობლად გაჭიანურდა. იგი მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით გასული წლის სექტემბერში, ხოლო მას შემდეგ საქმე წინა აღარ დაძრულა. ამასთან, პლენარულ სხდომაზე გამოთქმული მრავალი შენიშვნის და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა არსებული კანონპროექტის სრულყოფა.

საქონელბრუნვის მოცულობას. კანონპროექტი ასევე არ ითვალისწინებს დამოუკიდებლობის კრიტერიუმს, რაც გულისხმობს იმას, რომ მცირე საწარმოს ქონების 25%-ზე მეტს არ შეიძლება ფლობდეს ერთი ან რამოდენიმე მსხვილი საწარმო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო მზადაა დახმარება გაუწიოს მცირე ბიზნესის სექტორში მოქმედ საწარმოებს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პროგრამების მეშვეობით. რაც უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისაა და მასში არ არის დაკონკრეტებული სახელმწიფო პროგრამების შემსუშავებელი და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები, არ ჩანს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს მცირე საწარმოთათვის დახმარების განევა. ერთადერთ ქმედითორგანოდამ მხრივ დასახელებულია მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ფონდი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროსთან არსებობს. ცალკე აღნიშვნის ღირსია კანონპროექტის მე-9 მუხლი, რომელიც მცირე ბიზნესის სუბიექტთა

მცირე ბიზნესის სუბიექტთა განსაზღვრა უნდა მოხდეს სამი კრიტერიუმის მიხედვით და არა ერთით, როგორც ეს არსებულ კანონპროექტში წარმოდგენილი

სახელმწიფო კონტროლის ორგანოებთან ურთიერთობის პროცესში სამართლებრივ გარანტიებს ეხება. არსებული კანონ-

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მცირე ბიზნესის სუბიექტთა განსაზღვრება ხდება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის - დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. (თუმცა კანონპროექტის პირველ ვარიანტში ფიგურირებდა ორი კრიტერიუმი: დასაქმებულთა რაოდენობა და საქონელბრუნვა). აღნიშნული მიდგომა არამართებულია, ამიტომაც მცირე ბიზნესის სუბიექტების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იქნეს სამი კრიტერიუმი და არა ერთი, როგორც ეს არსებულ კანონპროექტშია ნაჩვენები. ეს კრიტერიუმებია: 1. დასაქმებულთა რაოდენობა; 2. საქონელბრუნვის მოცულობა; 3. დამოუკიდებლობა. ევროპის კომისიამ წევრი სახელმწიფოებისათვის მიიღო მცირე და საშუალო საწარმოების ახალი, ზოგადი განსაზღვრება (1996 წლის 3 აპრილის კომისიის რეკომენდაცია). ამ განსაზღვრების თანახმად საწარმოში, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია და საქონლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 7 მილიონ ეკიუს ითვლება „მცირე ზომის“ საწარმოდ; ხოლო „ძალიან მცირედ“ განიხილება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია. დასაქმებულთა რაოდენობის თვალსაზრისით კანონპროექტი ჰარმონიზაციაშია ევროპის სტანდარტებთან. მაგრამ კანონპროექტი არ ითვალისწინებს

პროექტი არ ითვალისწინებს რეალური დახმარების განევას მცირე საწარმოთათვის. მასში არ არის წარმოდგენილი შეღავათების სისტემა, რომელიც მცირე ბიზნესის სუბიექტებს უნდა მიენიჭოთ. კანონის მიღების ძირითადი მოტივი საწარმოთათვის რეალური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის განევაა. იმისათვის, რათა კანონპროექტმა სასურველი ფორმა მიიღოს, საჭიროა ჯერ განისაზღვროს თუ რა სახით აპირებს სახელმწიფო გაუწიოს დახმარება მცირე საწარმოებს და განსაზღვროს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის საწარმოთა მხარდაჭერა.

საჭიროა ქვეყანაში ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი ბიზნეს გარემო, რომელიც

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა ძველანაში ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა

რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია და საქონლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 7 მილიონ ეკიუს ითვლება „მცირე ზომის“ საწარმოდ; ხოლო „ძალიან მცირედ“ განიხილება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია. დასაქმებულთა რაოდენობის თვალსაზრისით კანონპროექტი ჰარმონიზაციაშია ევროპის სტანდარტებთან. მაგრამ კანონპროექტი არ ითვალისწინებს

დაფუძნებული იქნება სხვადასხვა კომპონენტებზე. თავდაპირველად საჭიროა განესაზღვროთ თუ რა საჭირდება ადგილობრივ მენარმეს რათა მან შექმნას სიცოცხლისუნარიანი საწარმო. ამისათვის მენარმემ საჭიროა მიიღოს შემდეგი ხელშეწყობი ელემენტები:

1. ინფორმაციული მომსახურება - იმ შემთხვევაში, თუკი მცირე საწარმოებს დაუნესდებათ ფუნქციონირების შეღავათიანი

პირობები, საჭირო იქნება მოსახლეობის ინფორმირება არსებულის თაობაზე. რაც უფრო მეტი პიროვნება შეიტყობს მის წინაშე არსებული შესაძლებლობების შესახებ, მით უფრო შეეწყობა ხელი თავისუფალი კონკურენციის განვითარებას და ბიზნესის წარმატებულობას. ასევე საჭიროა, რომ მცირე ბიზნესის სუბიექტი ფლობდეს მაქსიმალური მოცულობის ინფორმაციას, რომელიც მისი ნორმალური საქმიანობისათვის არის აუცილებელი.

2. *საკონსულტაციო მომსახურება* - დღევანდელ პირობებში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მცირე მენარმეს ესაჭიროება კვალიფიციური კონსულტაციის მიღება. საწარმოს დაარსებისათვის და მუშაობისათვის მენარმეს ძირითადად ესაჭიროება იურიდიული ხასიათის კონსულტაცია, თუმცა ახალი ეკონომიკური სისტემის არსებობა უნდა ითვალისწინებდეს, მარკეტინგისა, ბულალტერიასა და სხვა საკითხებში კონსულტაციებს. მენარმეს ასევე ესაჭიროება ტექნიკური ხასიათის კონსულტაციები, კერძოდ ახალი პროექტებისათვის შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური აღჭურვილობის მოძიებაში და არსებული საშუალებების მოდერნიზაციაში დახმარება; პროექტების ტექნიკური ანალიზი და მათი სიცოცხლისუნარიანობის შესწავლა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პატენტები და მათი სამრეწველო გამოყენება; საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაში ხელშეწყობა; ხარისხის კონტროლის პროცედურების დანერგვაში დახმარების განწვევა; ტექნოლოგიების ტრანსფერების გაადვილება; პროდუქციის ხარისხთან და წარმოების პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულირებისა და სტანდარტების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა და სხვა.

ბიზნესის ხელშეწყობი ცენტრების მოძლიერების კვალობაზე, მათი მომსახურების სპექტრი გაფართოვდება და დაიხვეწება, იმის და მიხედვით თუ როგორ შეიცვლება მოთხოვნა მცირე ბიზნესის სექტორის მხრიდან. მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი მომსახურების პოპულარობა დაეცემა, ხოლო ზოგიერთისა კი პირიქით გაიზრდება.

3. *ტრენინგი* - იმისათვის, რომ მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა საქმიანობა წარმატებული აღმოჩნდეს, აუცილებელია მათ ჩაუტარდეთ შესაბამისი მომზადება. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების შესახებ ინსტრუქტაჟი მენარმეებს გაუადვილებს

მენარმეებს ახალი ეკონომიკური სისტემის პირობებში საქმიანობას.

4. *ფინანსური მომსახურება* - დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ყველაზე მწვავედ მენარმეები საკუთარი საქმიანობის წამოწყებისას ფინანსური საშუალებების სიმწირეს განიცდიან. ამიტომაც სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ინიციატივიან მენარმეებს ფინანსური სახსრებით ან ამ სახსრების მოძიებაში.

5. *საოფისე მომსახურება (ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კომპიუტერი და სხვა)* - ბევრი დამწყები მცირე მენარმისათვის საოფისე მონყობილობის შექმნა არ წარმოადგენს პირველ ხარისხის საჭიროებას, ვინაიდან მათზე მოთხოვნა არ წარმოიქმნება ყოველდღიურად. ამიტომაც თუკი მენარმეს ექნება საშუალება ისარგებლოს აღნიშნული საშუალებებით, რომელიც საერთოა და განკუთვნილია მენარმეთა ჯგუფისათვის, ამით იგი გარკვეული ეკონომიის გაკეთებას შეძლებს, რაც ასე მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე.

6. *ტექნიკური მომსახურება (მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა)* - გარკვეულ შემთხვევებში მენარმეს არ გააჩნია საჭირო ოდენობის სახსრები, რათა მისი საწარმოო პროცესი მთლიანად უზრუნველყოს აუცილებელი დაზგა-დანადგარებით. ამიტომაც სახელმწიფომ უნდა შეუქმნას მას ისეთი პირობა, როდესაც აღნიშნული მომსახურების მიღებაც შესაძლებელი იქნება.


7. *სამთავრობო მხარდაჭერა* - საკუთარი საქმიანობის ყოველ ეტაპზე მენარმე-სუბიექტი უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან. მხარდაჭერა იქნება თუნდაც ის, რომ ბიუროკრატია არ შექმნას დამატებითი ბარიერები მენარმეთათვის.

8. *კვლევები* - წვილ მენარმეებს არ ძალუძთ საკუთარი ძალებით განახორციელონ გამოკვლევები, ამიტომაც საჭიროა, რომ საგანმანათლებლო და კვლევითმა დაწესებულებებმა, სახელმწიფო მხარდაჭერით უზრუნველყონ მცირე საწარმოების მფლობელები ჩატარებული გამოკვლევებით.

9. *საჯაროობა* - თუკი არ მოხდა სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესისათვის განკუთვნილი ღონისძიებების ფართოდ გაშუქება და განხორციელებული საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რეალური შედეგების მიღწევა მცირე ბიზნესის განვითარების გზაზე გაჭირდება.

შემდეგი საკითხია, თუ რა ინსტრუმენტებით, რა საშუალებებით უნდა მოხდეს ზემოთ

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს ძირითადი ელემენტები



ჩამოთვლილი კომპონენტებით ბიზნეს სექტორის მომსახურება. ჩვენს შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

1. ბიზნესის ხელ შეწყობი ცენტრები;
2. ბიზნეს ინკუბატორები;
3. ლიზინგის ცენტრები;
4. საგანმანათლებლო დანესებულებები და კვლევითი ინსტიტუტები;
5. საერთაშორისო ორგანიზაციები;
6. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები;
7. ბიზნეს ასოციაციები;
8. საფინანსო ინსტიტუტები;
9. „მთავრობა (ცენტრალური და ადგილობრივი);
10. მას-მედია.

თითოეული მათგანის როლისა და ფუნქციონალური დატვირთვის შესახებ უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თითოეული ზემოთ დასახელებული ინსტრუმენტებით შესაძლებელია ერთი ან ორი ხელშემწყობი ელემენტის მიწოდება, კერძოდ მას-მედიამ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა იმ პროექტებისა, რომლებიც მცირე ბიზნესის დასახმარებლად განხორციელდება, ლიზინგის ცენტრებმა უნდა უზრუნველყონ ფირმების ტექნიკური აღჭურვილობით მომსახურება და სხვა.

ზემოთდასახელებული ინსტრუმენტებით მცირე ბიზნესის ხელ შეწყობი ღონისძიებების გატარებასაჭიროებს გარკვეულ რესურსებს. ჩვენს შემთხვევაში რესურსების წყარო შეიძლება იყოს:

- 1) ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსება;
- 2) საერთაშორისო და რეგიონალური ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება;
- 3) უცხოური სესხები;
- 4) ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანები;
- 5) უცხოური ინვესტიციები;
- 6) პრივატიზებიდან ამონაგები თანხები.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების მხოლოდ

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობა არ არის საკმარისი

არსებობა. მაგალითისთვის, თუკი ყველა ბიზნესის ხელშემწყობ საშუალებას შექმნის მთავრობა, მეწარმეთათვის ეს იქნება არახელსაყრელი გარემო. მეორეს მხრივ, თუკი თითოეული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ორგანიზაცია იმოქმედებს დამოუკიდებლად ანუ იზოლირებულად, ეს გამოიწვევს დაბნეულობას და რესურსების გაფლანგვას. ბიზნესის მხარდამჭერი სისტემის მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც

ამ სისტემის თითოეული მონაწილე იცნობს ერთიმეორეს, აქვთ ერთმანეთთან კონტაქტები და მოქმედების ერთიანი გეგმა კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მცირე ბიზნესის მხარდაჭერასთან არის დაკავშირებული

წარმოადგენდნენ ძირითადად მაკოორდინირებელ ორგანოს კონკრეტულ რეგიონში. შემდგომ ეტაპზე, ბიზნესის მხარდაჭერი ცენტრების ექსპერტთა დახმარებით ტრენინგში გამარჯვებული მენარმეები იწყებენ საკუთარი მომავალი საქმიანობის ბიზნეს-გეგმების

შემუშავებას. აღნიშნული პროექტების განხილვა უნდა ხდებოდეს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც იქმნება სამი მხარის

მცირე ბიზნესისათვის განკუთვნილი სახსრების განაწილება მაქსიმალურად გამჭვირვალე და დეცენტრალიზირებული უნდა იყოს

შეეხება იმ მექანიზმების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ფინანსური რესურსების ინექცია მცირე ბიზნესში, აგრეთვე მათთვის იმ ძირითადი მომსახურების განწევა, რაც ნორმალური ბიზნეს გარემოსათვის არის საჭირო. დღევანდელი მდგომარეობით მცირე ბიზნესზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების განთავსება ხდება ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფონდის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სახით სახსრების განაწილება არაეფექტურია, ვინაიდან თანხები მიედინება მთლიანად სამთავრობო სტრუქტურების გავლით, რაც კორუფციისა და სახსრების განაწილების დროს მიკერძოებულობის მომენტების წარმოშობის საფუძველს ქმნის. ამასთან, სახსრების ამგვარად განაწილება ნაკლებად გამჭვირვალეა. ამგვარ ცენტრალიზებულ სახელისუფლო ფონდში დასაქმებული პერსონალი, რომელსაც თანხების განაწილებაზე გადაწყვეტილება გა-

ბიზნესის ცენტრის წარმომადგენლის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელს და ადგილზე მოქმედი საბანკო ფილიალის მონაწილეობით. ამის შემდგომ ხდება გამარჯვებული პროექტების დაფინანსება. დაფინანსება უნდა განხორციელდეს შეღავათიანი კრედიტების სახით. სახელმწიფომ უნდა გამოწახოს სახსრები აღნიშნული კრედიტების გასაცემად. შემდგომ გამოაცხადოს პრინციპი, რომლითაც უნდა მოხდეს სახსრების რეგიონების მიხედვით განაწილება და ჩატარდეს ტენდერი ბანკებისათვის: ტენდერში გამარჯვებული ბანკები სახელმწიფოსაგან შეღავათიან პირობებში მიიღებენ კრედიტებს, რომლებთაც ასევე შეღავათიან პირობებში (რომელიც ტენდერის პირობით განისაზღვრება წინასწარ) გასცემენ პროექტების დასაფინანსებლად.

დასახელებულ პროგრამასთან ერთად მთავრობას შეუძლია წამოიწყოს სხვა პროგრამებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ

ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი უნდა გახდეს

მოაქვს, მონყვეტილია უშუალოდ ბიზნეს გარემოს და ნაკლები ხედვა გააჩნია ბიზნეს-მენტთა რეალური მოთხოვნილებებისა. საჭიროა ბიზნესმენტათვის ფინანსური სახსრების მიწოდების უფრო ეფექტიანი მექანიზმი იქნეს შემუშავებული. ერთ-ერთ ასეთ ეფექტიან მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: მთავრობის მიერ ხდება სახელმწიფო პროგრამების ინიცირება, რომლის ერთ-ერთი მიზანია ქვეყნის თითოეულ რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერი ცენტრების დაარსება. აღნიშნულ ცენტრებს დაევალებათ რამოდენიმე ძირითადი ფუნქციის შესრულება. კერძოდ: ინფორმაციული მომსახურება; ბიზნესმენტთა ნაწილობრივი კონსულტაციები; საოფისე მომსახურება (ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და სხვა) და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსების განაწილებაში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით უნდა მოხერხდეს ინიციატივიან და ნიჭიერ მენარმეთა გამოვლენა. ბიზნესის მხარდაჭერი ცენტრები ამ შემთხვევაში უნდა

მცირე ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს სხვა კომპონენტების ამოქმედებას და მოსახლეობის ფართო ფენების აღნიშნულ პროგრამებში ჩართვას.

გავეცნოთ მცირე ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს თითოეული მონაწილის ფუნქციებს ცალ-ცალკე.

ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრების შექმნა უნდა მოხდეს რეგიონებში. აღნიშნული ცენტრის შექმნის ინიციატივა უნდა მოდიოდეს საკუთრივ რეგიონიდან და არა ცენტრალიზებული წესით. ცენტრი უნდა იყოს არასამთავრობო სტრუქტურა, ხოლო მისი პერსონალი შეირჩევა კონკურსის საფუძველზე, ხოლო დაფინანსებისათვის თავდაპირველ ეტაპზე უმჯობესია გამოყენებული იქნეს უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარება. იმისათვის, რათა ცენტრი გახდეს ქმედითუნარიანი ორგანიზაცია, საჭიროა იგი იმართებოდეს როგორც ბიზნესი — ჰქონდეს

კომერციული ორგანიზაციის მოტივაცია, ანუ კრედიტების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული პროცენტი რჩებოდეს ბიზნეს ცენტრებს. ამასთან, ცენტრს უნდა გააჩნდეს საკუთარი ბიზნეს გეგმა. ბიზნესის ხელშემწყობ ცენტრს არ შეუძლია იყოს რეგიონში უნიკალური ორგანიზაცია და შეასრულოს მთელი რიგი სახის მომსახურებანი. ამიტომაც იგი მოწოდებულია თავის თავზე აიღოს ოთხი ძირითადი ფუნქციის შესრულება (რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი) და ითანამშრომლოს რეგიონში სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც მცირე ბიზნესისათვის დანარჩენი აუცილებელი მომსახურების განვითარებში დაკავებული.

ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრები უნდა იყვნენ ორიენტირებული გრძელვადიან საქმიანობაზე. თავდაპირველ ეტაპზე, ცენტრების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება ძირითადად მოხდება სხვადასხვა მხრიდან მიღებული რესურსების მობილიზების საშუალებით, მაგრამ ამის შემდგომ ცენტრმა უნდა შეძლოს თავად მოიძიოს სახსრები საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად ანუ გახდეს ფინანსურად დამოუკიდებელი.

ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრების დაარსება არ უნდა იყოს რეგიონებისათვის თავს მოხვეული ინსტიტუტი. ინიციატივა მსგავსი ორგანიზაციების შექმნისას უნდა მოდიოდეს ადგილიდან. პროგრამის წარმატებისათვის აუცილებელია, რომ რეგიონში მყოფ ლიდერებს, რომლებიც ბიზნეს ცენტრის პოტენციული პერსონალია, გათვითცნობიერებული ჰქონდეთ მათი როლი რეგიონში ბიზნესის განვითარების საქმეში. მეორე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ბიზნეს ცენტრისა არის ადგილობრივ ბიზნესმენებში ინიციატივისა და მოტივაციის შთანერგვა.

ბიზნეს ცენტრების დაარსება რეგიონებში უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუკი იქ გარკვეული ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს. კერძოდ, შერჩეულ რეგიონში უნდა იყოს გარკვეულწილად განვითარებული საბანკო სექტორი, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მენარმეებს მიიღონ კრედიტი ნორმალურ პირობებში. საპროცენტო განაკვეთები

საქართველოში დრღეს-დღეობით მერყეობენ 15%-დან 31%-მდე და დამოკიდებულია კონკრეტულ დარგზე. საბანო

როგორცნესი დასაფინანსებელი ობიექტის რაობა განსაზღვრავს საბანკო გარანტიის ტიპს. მაშინ როდესაც დედაქალაქში შედარებით უკეთესად არის განვითარებული უძრავი ქონების ბაზარი, რეგიონებში საბანკო გარანტიის ძირითად სახეს ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები წარმოადგენენ.

სესხების უმრავლესობა გაიცემა მოკლე ვადიანი პერიოდისათვის, რაც ხელს უშლის ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც შედარებით გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ.

დღესდღეობით საქართველოში სხვადასხვა საკრედიტო პროგრამა მოქმედებს, რომელთა ინიციატორებია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, TACIS -ი, მსოფლიო ბანკი და სხვა ორგანიზაციები. 1998 წლის ივლისში, „შორბანკმა“ წამოიწყო მიკროკრედიტის პროგრამა (100-დან 1000 დოლარამდე ოდენობის კრედიტები). მანამდე აღნიშნული ბანკის მიერ გაცემულ იქნა 12 სესხი თითოეული 20 000 დოლარის ოდენობით. „შორბანკი“ საკრედიტო რესურსებს ღებულობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან. „შორბანკის“ მიერ ტრეინინგ-კურსები ჩაუტარდა TBC ბანკის პერსონალს კრედიტების ადმინისტრირების საკითხში. დღემდე, მიკროკრედიტების უმეტესობა გაიცა თბილისის რეზიდენტებზე, თუმცა TBC ბანკის ფილიალების დახმარებით მოხერხდა სესხების გაცემა ქალაქებში რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. მსხვილი სესხებისათვის TBC ბანკი მნიშვნელოვან საბანკო გარანტიებს ითხოვს. მაგრამ რაც შეეხება მიკროკრედიტებს აქსაბანკო გარანტია არ მოითხოვება და მის სანაცვლოდ წარმოებს მკაცრი მონიტორინგი და აუცილებელია ყოველკვირეული გადასახადები (სესხის მომსახურებაზე).

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო ფონდებს

ბიზნეს-ცენტრების დაკომპლექტების დროს აქცენტი ადგილობრივ კადრებზე უნდა გაკეთდეს

რესურსებით, ნაკლებად აფინანსებს მაღალი რისკის მქონე პროექტებს, სოფლის მეურნეობის დარგები (გარდა კვების გადამამუშავებელი დარგებისა) მიიღებენ ყველაზე ნაკლები ოდენობის დაფინანსებას.

რეგიონის ინფრასტრუქტურის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მაღალი მოტივაციის მქონე და ინიციატივანი ბიზნეს

ახალი, მცირე ზომის საწარმოების შესაქმნელად ყველაზე ეფექტურ ხელშეწყობა ელემენტად აღიქმება ბიზნეს ინსუბატორები

ლიდერები. ასეთი პიროვნებების არსებობა მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს წამოწყებული პროგრამების წარმატებულობას. ამა თუ იმ რეგიონში მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებისას ორიენტაცია უნდა იქნეს ალებული ერთი ან რამოდენიმე დარგი,

რაც უფრო მეტი ეფექტის მომცემი იქნება. ისედაც მნიერი რესურსების ფონზე, მათი განაწილება ერთდროულად ყველა დარგზე არაეფექტიანი იქნება, ხოლო ერთ ან რამოდენიმე დარგზე ფოკუსირება რეგიონში ამ კონკრეტული დარგების განვითარების სერიოზულ საფუძველს შექმნის. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ რეგიონი არ იყოს მხოლოდ და მხოლოდ აგრარული.

ადგილებზე პროგრამების რეალიზაციის დროს საჭიროა გათვალისწინებული იყოს რეგიონში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არსებობა და მათი როლი ადგილობრივი ცხოვრების წესში, ვინაიდან მასმედიაში უნდა უზრუნველყოს განსახორციელების პროგრამების ფართო პროპაგანდა და საჯაროობა.

ბიზნეს-ცენტრების კადრებით დაკომპლექტების დროს არ არის აუცილებელი დიდი ოდენობით უცხოელი კონსულტანტების მოწვევა. აქცენტი უნდა იქნეს ადგილობრივ კადრებზე, რომელთა თავდაპირველი მომზადების შემდეგ მათ ჩაუტარდებათ რეგულარული ტრენინგები უკვე როგორც ცენტრების თანამშრომლებს.

ახალი, მცირე ზომის საწარმოების შესაქმნელად ყველაზე ეფექტურ ხელშეწყობ ელემენტად აღიქმება ბიზნეს ინკუბატორები. „ახალი ფირმების ინკუბატორები“, როგორც მათ ხშირად უწოდებენ ხოლმე, ემსახურებიან დამწყები მენარმეთათვის ხარჯების შემცირების მიზანს სანაყის ეტაპზე. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ ხარჯებს, რომელთა წილი ხარჯების საერთო სისტემაში მნიშვნელოვანია. კერძოდ, შენობა-ნაგებობების ქირავნობა, მანქანა-დანადგარების შექმნა და სხვა. ინკუბატორების შექმნის ბაზად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიზნესისა და მენარმეობის განვითარების ცენტრები არსებულ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, ცალკეული კომპანიები, მსხვილი კორპორაციების ქვედანაყოფები.

ინკუბატორები ეს არის მცირე ორგანიზაციები, რომლებშიც შექმნილია ხელსაყრელი პირობები იმათთვის, რომელთაც სურთ პროფესიულად მოემზადონ ახალი საქმის ორგანიზებისათვის. გამოცდილი სპეციალისტები და სხვადასხვა სფეროს ექსპერტები კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით მზრუნველობენ ახალბედა ფირმებს. ფირმებს დაბალ ფასებში აძლევენ შენობებს, რჩევებს, კონსულტაციებს, აყენებენ საქმის კურსში, აცნობენ ბიზნეს სამყაროს, ანაზღაურებენ კრედიტებს და ზარალს და ამ მხრივ აძლევენ საშუალებებს მცირე მენარმეებს დააგროვონ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, შეიძინონ რეპუტაცია. ყოველივეს საშუალებას აძლევს ფირმებს ინკუბატორიდან გამოსვლას შემდეგ დამოუკიდებლად წარმართონ

საკუთარი საქმიანობა.

ინკუბატორის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა საქმიანი ექსპერტიზის ჩატარება ფირმებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბების სტადიაზე არიან. თუნდაც ასეთ ფირმებს უკვე გააჩნდეთ ნიჭიერი კადრები, კარგი იდეები და გარკვეული კაპიტალი, მათ შეიძლება არ ჰყოფნიდეთ მართვის, მარკეტინგის, დაგეგმვის ეკონომიკური ანალიზის წარმოების, კავშირების დამყარების გამოცდილება და მით უმეტეს რეპუტაცია.

ინკუბატორების შექმნის იდეა თავდაპირველად აშშ-ში გააჩნდა 80-იანი წლების დასაწყისში. დღესდღეობით ისინი მთელს მსოფლიოში გვხვდება. ბევრი ინკუბატორი მოქმედებს რუსეთშიც, რომლებიც მოროზოვის პროექტის მიხედვით შეიქმნენ. ინკუბატორების შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მომენტები: ინკუბატორი უნდა იყოს ორიენტირებული ერთ რომელიმე დარგზე და ერთმანეთთან ახლოს მდგომ ჯგუფებზე. ინკუბატორები, რომლებიც ცდილობენ მოიცვან მაქსიმალური ოდენობის დარგები, ნაკლებად წარმატებულნი არიან. ინკუბატორებს უნდა გააჩნდეთ ფირმების შერჩევის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები, ხოლო მათ შიგნით შექმნილი ისეთი გარემო, როდესაც მის წევრ ფირმებს შორის არსებობს ახლო კავშირურთიერთობა. ინკუბატორების საქმიანობის წარმატებულობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, უნდა იყოს მის მიერ გამოზრდილი ფირმების რაოდენობა.

ასევე ძალიან ეფექტურია ლიზინგის ცენტრების შექმნა. აღნიშნულ ცენტრებში თავმოყრილი უნდა იყოს ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც მენარმეებს ესაჭიროებათ თავიანთი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა ისეთ მნიშვნელოვან სახსრებთანაა დაკავშირებული, რომელთა გაღებაც სანაყის ეტაპზე მენარმეს არ ძალუძს. ლიზინგის ცენტრების შექმნა უნდა მოხდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რეგიონებში.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობი გარემოს აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი ინსტიტუტები. მათი საშუალებით უნდა მოხდეს კადრების მომზადება მცირე ბიზნესისათვის, მათი შემდგომი წვრთნა, საჭირო კვლევითი სამუშაოების განხორციელება და ა.შ. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შესაძლებელია ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა. საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების ხარისხზე და მათ როლზე რეგიონებში, დიდად იქნება დამოკიდებული ნიჭიერი და ნოვატორული იდეების მქონე მენარმეთა გამოვლენა.

მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო

პროგრამების განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება

მთლიანობაში, პროექტი დადებითად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან აგრობიზნესის ცენტრები შეძლებენ გარკვეულ-ნილად შეავსონ ზემოთ დასახელებულ რეგიონებში ბიზნეს-ცენტრების საქმიანობა.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც დსთ-ში, საქართველოშიც არ არსებობს კოოპერაცია დონორ ორგანიზაციებს შორის, მაშინ როდესაც ყველანი აღიარებენ ამგვარი თანამშრომლობის აუცილებლობას. აღნიშნულის განვითარებას ხელს უშლის დონორ ორგანიზაციებში დასაქმებული პერსონალის მოუცლევლობა და აგრეთვე

შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებენ და რომელთა სამოქმედო არეში მცირე მენარმეობის განვითარება შედის. ამ მხრივ მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე მომუშავე რამოდენიმე საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია

ისევე როგორც დსთ-ში, ისე საქართველოში არ არსებობს კოოპერაცია დონორ ორგანიზაციებს შორის

ფუნქციონირებს საქართველოში, კერძოდ TACIS-ის პროექტის ფარგლებში — ორგანიზაცია "SMEDA" (Small and Medium Business Development Agency), აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ფონდი“, მცირე ბიზნესის სუბიექტების ფინანსურ დახმარებაზე მუშაობს ორგანიზაცია „ვორლდ ვიუენი“. გარკვეული სამუშაო იქნა განხორციელებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ. აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ფარგლებში გარკვეული პროექტების ინიციატორები და დამფინანსებლები, ზემოდასახელებულ ორგანიზაციებთან ერთად, იყვნენ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNIDO). TACIS-ის პროექტის ფარგლებში საქართველოში დაარსდა ოთხი აგრობიზნესის ცენტრი. კერძოდ, ქალაქებში წნორი, გორი, ოზურგეთი, ქუთაისი. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია მოხდეს ფინანსური რესურსების პირდაპირ სოფლის მეურნეობაში ინექციის ხელშეწყობა. უცხოელი კოლეგების დახმარებით სპეციალურად ამ პროექტებისათვის მომზადებულ იქნა რამოდენიმე კონსულტანტი. მომზადების შემდეგ ისინი ზემოდასახელებულ რეგიონებში განახორციელებენ საკონსულტაციო სამუშაოებს, რომლის ძირითადი მიზანია იქნება ცალკეულ ინდივიდებს ხელი შეუწყონ კრედიტების მოძიებაში. აღნიშნული პროექტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს კონსულტანტებს შეასრულონ პროფესიული სამუშაო, რაც მათი გამოცდილების გამდიდრებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ასევე აღსანიშნავია იმ ინდივიდთა კმაყოფილება, რომლებიც აღნიშნული კონსულტაციების შედეგად კრედიტის მიღებას შეძლებენ. პროექტის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ კრედიტის მიღების შემდეგ ფერმერები ვეღარ მიიღებენ შემდგომ კონსულტაციებს.

გარკვეული ინსტიტუციონალური და პოლიტიკური მიკერძოებულობის მომენტები. ფართო კოოპერაცია დონორ ორგანიზაციებს შორის სასარგებლოა პროგრამების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ვინაიდან თითოეულ ორგანიზაციას გააჩნია თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ამიტომაც პროგრამებში თითოეულმა ორგანიზაციამ თავისი წვლილი ძლიერი მხრიდან უნდა შეიტანოს. ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრების დაარსების მხრივ განსაკუთრებით დიდი და საინტერესო გამოცდილება დაუგროვდა ევრაზიის ფონდს. მაგალითისათვის, ამ ფონდის დაფინანსებით სომხეთში უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს ათი ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრი. საქართველოს მთავრობისა და შეუძლია ბიზნეს ცენტრების დაარსების საქმეში დახმარება სხოვოს ევრაზიის ფონდს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ცენტრებისათვის ადგილმდებარეობის შერჩევას, სათანადო აღჭურვასა და რაც ყველაზე მთავარია შესაფერისი კადრებით დაკომპლექტებას. სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების ერთობლივი მონაწილეობით ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრების შექმნა უდავოდ უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე მაშინ როცა აღნიშნული საქმე მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს ექნებოდა დავალებული.

სახელმწიფო პროგრამების განხორციელების დროს აუცილებელია გამოყენებულ იქნეს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელთ არსებული პოტენციალი. არასამთავრობო ორგანიზაციების შეუძლიათ უზრუნველყონ აღნიშნული პროგრამების უფრო ფართო პროპაგანდა. მონაწილეობა მიიღონ პროგრამების მექანიზმების სრულყოფასა და დახვეწაში, უშუალო დახმარება გაუწიონ მცირე ბიზნესში დაკავებულ მენარმეებს. ბიზნესის მხარდამჭერი

ცენტრების საკონსულტაციო საქმიანობის შევსება შეიძლება განხორციელონ იმ ორგანიზაციებში, რომელთაც აღნიშნული ფუნქციის შესრულებაში გამოცდილება აქვთ. ასე მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც იურიდიული ხასიათის კონსულტაციებს უწევს მოსახლეობას, შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს პროგრამების კონსულტაციურ საქმიანობაში.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს რეგიონებში მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა გაერთიანების შექმნა. აღნიშნული ბიზნეს-ასოციაციები საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ მწარმეთა ინტერესების დაცვის მიზნით. გაერთიანებას შესწევს ძალა და უნარი უფრო ენერგიულად მოსთხოვოს მთავრობას მათი ინტერესების დაცვა და მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკისა და რეგულირების ლობირება. ბიზნეს ასოციაციები ასევე წარმოადგენენ არენას, სადაც ბიზნესმენებს საშუალება აქვთ შეხვდნენ ერთმანეთს, გაცვალონ ინფორმაციები და იდეები, დასახონ სამომავლო თანამშრომლობის გზები.

სახელმწიფო პროგრამების განხორციელების დროს საფინანსო ინსტიტუტებმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავონ. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა სასარგებლო იქნება საბანკო სისტემის განთავისუფლებისათვის. სახელმწიფოს მიერ მცირე ბიზნესისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილება უნდა მოხდეს ბანკების საშუალებით, ხოლო შეღავათიანი კრედიტების გაცემის დროს ბანკების მიერ გარანტიის სახით უნდა იქნეს აღიარებული დებიტორების ხელში არსებული ლიკვიდური აქტივები, ბიზნეს-გეგმები, სახელმწიფო გარანტიები. საინტერესო პროექტების შემთხვევაში ბანკები უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ბიზნეს-გეგმებით, ხოლო სახელმწიფომ

სამთავრობო ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია სამეწარმეო აქტიურობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაძენელად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს საგადასახადო შეღავათიანი წარმოადგენს

დაევალოს პროგრამების ინიცირება, შემუშავება, შეთანხმება შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებთან, პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი. მთავრობა არ უნდა შეეცადოს ერთპიროვნულად განხორციელოს პროგრამები, არამედ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მონაწილეთა მრავალფეროვნება.

სახელმწიფო პროგრამებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთაც პირველ რიგში უნდა უზრუნველყონ პროგრამების მოსახლეობის ფართო მასებში პროპაგანდა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ყველაზე ღირსეულნი ღირსეულთა შორის. და რაც ყველაზე მთავარია, მას-მედიამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამების მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა არ მოხდეს ისედაც მნიერი რესურსების არაეფექტიანი განაწილება.

სამთავრობო ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია სამეწარმეო აქტიურობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინ-

სტრუმენტს საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს. აღნიშნულთან ერთად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ამორტიზაციის დაჩქარებული მეთოდების გამოყენება. საგადასახადო კოდექსის თანახმად მე-2 და მე-3 ჯგუფის საამორტიზაციო ობიექტებზე შესაძლებელია ნორმების გაორმაგება. მცირე საწარმოთათვის უმჯობესი იქნება ნორმების გაორმაგება დაწესდეს ყველა საამორტიზაციო ჯგუფზე. ასევე საჭირო იქნება მათთვის სხვა სახის შეღავათების მინიჭება.

მაგალითისათვის, საგადასახადო კრედიტების დაწესება, ინვესტიციების გადასახადებისაგან განთავისუფლება. მცირე ზომის საწარმოთათვის უმჯობესი იქნება ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადების შემცირება.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად იყენებენ საგადასახადო და არასაგადასახადო ზომების ფართო სპექტრს. თითოეულ მათგანს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. კერძოდ, ამ სფეროში საგადასახადო სისტემის გამოყენების

მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებისას მთავრობა უნდა გამოდიოდეს როგორც ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო

უნდა იკისროს გარანტიის როლი. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებისას მთავრობა უნდა გამოდიოდეს როგორც ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო. ამ ფუნქციის შესრულება შეიძლება დაეკისროს მცირე ბიზნესის საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც პრეზიდენტთან არსებობს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია უფრო ფართო უწყების შექმნა. მაგალითად, აშშ-ში მოქმედებს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, რომელიც ერთ-ერთ სახელმწიფო სააგენტოს წარმოადგენს. საკოორდინაციო საბჭოდ უნდა

მთავარი უპირატესობებად შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ საგადასახადო შეღავათების პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს არსებული სამთავრობო აპარატის მეშვეობით და არ არის საჭიროება ახალი და ძვირადღირებული ადმინისტრაციული სისტემის შექმნისა. აგრეთვე,

საგადასახადო პარამეტრები ადვილად შესაცვლელია, რაც ამ სისტემას ადვილად მართვადს ქმნის, მაგალითად დასაქმების პრობლემის რეგულირებისათვის, ხშირ შემთხვევებში მენარმეები თავად ამჯობინებენ საგადასახადო ზომებს, რადგან ისინი ნაკლებად თვალში საცემია, ვიდრე მაგალითად პირდაპირი სუბსიდირება და ამიტომ ნაკლებად კონტროლდება საკანონმდებლო ორგანოების მიერ. საგადასახადო შეღავათები არ არის დამოკიდებული სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე, სუბსიდირებისაგან განსხვავებით, და უზრუნველყოფს ბიზნესის მეტ მდგრადობას.

ამასთან დაკავშირებით საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ შეიძლება იქნას განხილული რიგი მნიშვნელოვანი არგუმენტებისა. კერძოდ, საგადასახადო ზომების გამოყენება იწვევს

გვერდი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა მცირე კომპანიებისათვის საგადასახადო სტიმულირების პრაქტიკას იყენებს

დანაკარგების სერიოზულ რისკს, იმ კუთხით, რომ საგადასახადო აღნიშნული ნაკლებად მიზნობრივია ანუ რიგი ფირმებისა, რომლებიც როგორმე თავადაც გაართმევენ თავს საქმეს, მაინც ლეზულობენ დახმარებას. სუბსიდირების სისტემის მიმართვა მიზნობრივად უფრო ადვილია და ამიტომაც იგი უფრო ეფექტურიცაა და იაფიც. რამდენადაც ასეთი საგადასახადო შეღავათები მიმართულია განსაზღვრული რეგიონების კონკრეტული დარგების მიმართ, იმდენად შეიძლება ისინი განხილული იქნან არასამართლიან და დისკრიმინაციულ ზომებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა განვითარებულმა ქვეყანამ უარი თქვა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კორპორაციული საგადასახადო სისტემის მეშვეობით სპეციალური საგადასახადო შეღავათების მინიჭებაზე და ამით მცირე ბიზნესისადმი საგადასახადო კანონმდებლობა ნეიტრალური დატოვეს.

თუმცა, ბევრი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა მცირე კომპანიებისათვის იყენებს საგადასახადო

სტიმულირების პრაქტიკას.

მაგალითისათვის, ბელგიაში მოქმედებს საინვესტიციო შეღავათების პრაქტიკა და ხდება მანქანა-დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების ამორტიზაციის გაორმაგება. კანადაში მცირე

საპარტიზო საინვესციო საწარმოთა 86% მცირე ბიზნესის საწარმოებს მიეკუთვნება

ბიზნესისათვის მოქმედებს 16%-იანი საგადასახადო კრედიტი ბიზნესის მიერ მიღებულ პირველ 200 000 კანადური დოლარის შემოსავალზე, რაც ფაქტიურად ფედერალური გადასახადის განაკვეთს 28%-დან 12%-მდე ამცირებს. გერმანიაში იმ მცირე საწარმოთათვის, რომელთა წმინდა ძირითადი აქტივები ნაკლებია 240 000 გერმანულ მარკაზე, ხოლო კაპიტალის ღირებულება კი ნაკლებია 500 000 გერმანულ მარკაზე, ახალ მოძრავ აქტივებზე მოქმედებს დამატებითი ამორტიზაცია 20%-ის ოდენობით. იტალიაში, თუკი შემოსავალი ნებისმიერ წელს წინა წელთან შედარებით 15%-ზე მეტია და თუ ინვესტიციების მოცულობა უფრო მეტია, ვიდრე ამ ორი წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებს შორის მაქსიმუმისა და ამავე პერიოდში დარიცხული ამორტიზაციის ჯამზე,

მაშინ შემოსავლის ნამატი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის, ადგილობრივი და კორპორაციული

გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთის მხოლოდ ნახევრით. ხოლო ახალ ინვესტიციებზე, რომელთა მოცულობა აღემატება 120 000 ლირას, 1991-1993 წლებში დადგენილი იყო საგადასახადო კრედიტი ინვესტიციების მოცულობის 25%-ის ოდენობით.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1998 წელს საქართველოს მრეწველობაში 3131 საწარმო არსებობდა, რომელთაგან 1176 (38%) მოცემულ პერიოდში

1998 წელს გრანვილოზაში მთლიანად წარმოებული პროდუქცია 2.7%-ით შემცირდა გასულ წელთან შედარებით, მაშინ როდესაც მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია 7.6%-ით გაიზარდა

უმოქმედოდ იყო. ამ საწარმოთაგან 2704 (86%) მცირე საწარმო იყო, რომელთაგან აღნიშნულ პერიოდში 40% არ მოქმედებდა.

1998 წელს მრეწველობაში მთლიანად წარმოებული პროდუქცია 2.7%-ით შემცირდა გასულ წელთან შედარებით, მაშინ როდესაც მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია 7.6%-ით გაიზარდა და 128.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანობაში მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 16%-

ია.

მრეწველობის 18 მსხვილი დარგიდან 13 მათგანში მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, 1997 წელთან შედარებით, გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი

მრეწველობის 18 მსხვილი დარგიდან 13 მათგანში მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1997 წელთან შედარებით გაიზარდა

ზრდის ტემპი დამახასიათებელი იყო სამთომომპოვებელი მრეწველობისათვის (130.5%-იანი ზრდა), ხე-ტყისა და ხის ნაწარმის წარმოებისათვის (152.4%-იანი ზრდა), საფეიქრო მრეწველობისათვის (26.7%-იანი ზრდა).

მართალია კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოება მთლიანობაში 1998 წელს შემცირდა, სამაგიეროდ თითქმის 400%-იანი ზრდა იყო დამახასიათებელი მცირე საწარმოების

ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 1998 წელს გურიის მხარეს გააჩნდა, სადაც მცირე საწარმოების წარმოებულმა პროდუქციამ გასულ წელთან შედარებით 40.7%-ით ზრდა

მიერხორცისა და კონსერვაციისათვის, 490%-იანი ზრდა ნაყინის წარმოებისათვის, 89%-იანი ზრდა ლუდის წარმოებისათვის და ა.შ. (იხ. ცხრილი №1).

თუკი რეგიონალურ ქრისტიანულ გადამამუშავებელ მცირე ზომის საწარმოებს, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი საწარმო განთავსებულია თბილისში (731), თუმცა თბილისი მხოლოდ მე-5 ადგილზეა ფუნქციონირებად მცირე საწარმოთა მცირე აღნიშნულთა საერთო რაოდენობასთან

მიმართებაში. ყველაზე მეტი რეზერვი გამოყენებულია კახეთის რეგიონში, სადაც არსებულ მცირე საწარმოთა 58% ფუნქციონირებადია. ასევე აღსანიშნავია აჭარის რეგიონი, სადაც ეს მაჩვენებელი 54%-ია და ქვემო

ქართლი (48.4%). რაც შეეხება მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ამ მხრივ ყველაზე მეტი მოცულობის პროდუქცია წარმოებული

იქნა თბილისში (ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის 37%), მეორე ადგილზე შიდა ქართლი, რომელზეც 13.5% მოდის, მესამეზე კი ქვემო ქართლი (12.5%). ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 1998 წელს გააჩნდა გურიის მხარეს, სადაც მცირე საწარმოების წარმოებულმა პროდუქციამ გასულ წელთან შედარებით 40.7%-ით მოიმატა, ასევე აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმი (40%-იანი ზრდა) და

ქვემო ქართლი (38.5%). მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი პროცენტულად ერთ-ერთი ყველაზე მეტად მწარმოებელი რეგიონია (13.5% ქვეყნის მთელს

ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა), 1998 წელს აქ ადგილი ჰქონდა წარმოების კლებას, რომელმაც 14.8% შეადგინა. ასევე წარმოების სერიოზული შემცირება (16.7%-იანი) მოხდა აჭარის რეგიონის მცირე საწარმოებში. კახეთში წარმოება 12.1%-ით შემცირდა. მთლიანობაში 1998 წელს საქართველოს 11 რეგიონიდან 7-ში მცირე საწარმოების წარმოებულმა პროდუქციამ ზრდა განიცადა. (იხ. ცხრილი №2).

მცირე საწარმოების სამრეწველო საქონლის გამოშვება
საქმიანობის სახეობების მიხედვით

ცხრილი №1.

დარგები	მოქმედ საწარმოთა რაოდენობა	განოშვებული პროდუქციის მოცულობა 1998წ	ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით
მრეწველობა-სულ	2704	128.6 მლნ.	7.6%
სამთომომპოვებელი მრეწველობა	54	4.02 მლნ.	130.6%
გადამამუშავებელი მრეწველობა	2576	119.4 მლნ.	5.8%
კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს დამუშავება მათ შორის:	1751	82 მლნ.	-6.5%
1.ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და კონსერვირება	43	0.8 მლნ.	76.7%
2.ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება	13	0.5 მლნ.	59.3%
3.მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება	24	0.2 მლნ.	72.6%
4.ნაყინის წარმოება	18	1 მლნ.	490%
5.პურისა და ფუნთუშეულის ნაწარმი	1167	39.1 მლნ.	7.4%
6.მაკარონის, ვერმიშელის და სხვა ანალოგიური ნაწარმი	2	0.6 მლნ.	131.2%
7.სასმელების წარმოება	266	16.9 მლნ.	13.8%
8.მინერალური წყლებისა და უაღკოპოლო სასმელების წარმოება	106	2.2 მლნ.	- 4.4%
საფეიქრო მრეწველობა	59	1.8 მლნ.	26.7%
ტყავისა და ტყავის ნაწარმის წარმოება	20	0.5 მლნ.	15%
ხე-ტყისა და ხის ნაწარმის წარმოება	143	1.7 მლნ.	152.4%
ცელულოზის, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება, საგამომცემლო საქმიანობა	178	8.1 მლნ.	45.1%
კოქსის, ნავთობსახდელი პროდუქტებისა და ბირთვული სათბობის წარმოება	2	5.7 მლნ.	-
ქიმიური ნივთიერებების, ქიმიური პროდუქტებისა და ქიმიური ბოჭკოს წარმოება	56	2.9 მლნ.	28%
რეზინისა და პლასტმასის წარმოება	25	5.5 მლნ.	-2%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	147	4.8 მლნ.	6.4%
მეტალურგიული მრეწველობა	70	3 მლნ.	121.3%
მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება	26	0.5 მლნ.	-28.3%
ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება	24	0.9 მლნ.	-29.6%
სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	12	0.9 მლნ.	4.2%
ელექტროენერჯია, გაზი და წყალმომარაგება	74	5.1 მლნ.	3.1%

მცირე საწარმოების სამრეწველო საქონლის გამოშვება
საქმიანობის სახეობების მიხედვით

ცხრილი №1.

დარგები	მოქმედ საწარმოთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 1998წ	ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით
მრეწველობა-სულ	2704	128.6 მლნ.	7.6%
სამთომომპოვებელი მრეწველობა	54	4.02 მლნ.	130.6%
გადამამუშავებელი მრეწველობა	2576	119.4 მლნ.	5.8%
კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს დამუშავება მათ შორის:	1751	82 მლნ.	-6.5%
1.ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, გადამამუშავება და კონსერვირება	43	0.8 მლნ.	76.7%
2.ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და კონსერვირება	13	0.5 მლნ.	59.3%
3.მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება	24	0.2 მლნ.	72.6%
4.ნაყინის წარმოება	18	1 მლნ.	490%
5.პურისა და ფუნთუშეუილის ნაწარმი	1167	39.1 მლნ.	7.4%
6.მაკარონის, ვერმიშელის და სხვა ანალოგიური ნაწარმი	2	0.6 მლნ.	131.2%
7.სასმელების წარმოება	266	16.9 მლნ.	13.8%
8.მინერალური წყლებისა და უაღკოპოლო სასმელების წარმოება	106	2.2 მლნ.	- 4.4%
საფეიქრო მრეწველობა	59	1.8 მლნ.	26.7%
ტყავისა და ტყავის ნაწარმის წარმოება	20	0.5 მლნ.	15%
ხე-ტყისა და ხის ნაწარმის წარმოება	143	1.7 მლნ.	152.4%
ცელულოზის, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება, საგამომცემლო საქმიანობა	178	8.1 მლნ.	45.1%
კოქსის, ნავთობსახდელი პროდუქტებისა და ბირთვული სათბობის წარმოება	2	5.7 მლნ.	-
ქიმიური ნივთიერებების, ქიმიური პროდუქტებისა და ქიმიური ბოჭკოს წარმოება	56	2.9 მლნ.	28%
რეზინისა და პლასტმასის წარმოება	25	5.5 მლნ.	-2%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	147	4.8 მლნ.	6.4%
მეტალურგიული მრეწველობა	70	3 მლნ.	121.3%
მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება	26	0.5 მლნ.	-28.3%
ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება	24	0.9 მლნ.	-29.6%
სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	12	0.9 მლნ.	4.2%
ელექტროენერჯია, გაზი და წყალმომარაგება	74	5.1 მლნ.	3.1%

მცირე საწარმოების მიერ სამრეწველო საქონლის წარმოება
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ცხრილი №2.

რეგიონები	მოქმედ საწარმოთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1998წ.	პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი
საქართველო	2704	128.6 მლნ.	7.6%
ქ. თბილისი	731	47.3 მლნ.	15.7%
აჭარა	119	3.5 მლნ.	-16.7%
გურია	113	6 მლნ.	40.7%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	102	2.4 მლნ.	40.1%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	298	10.6 მლნ.	0.9%
იმერეთი	621	14.5 მლნ.	1.7%
კახეთი	180	4.9 მლნ.	- 2.1%
მცხეთა-თიანეთი	118	2.9 მლნ.	1.6
სამცხე-ჯავახეთი	91	3.2 მლნ.	- 3.6%
ქვემო ქართლი	161	15.9 მლნ.	38.5%
შიდა ქართლი	170	17.3 მლნ.	- 4.8%

პრივატიზაცია

■ გრიგოლ ფანცულაია

კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის ფორმირების, მუშაობის ეფექტურობის ამაღლების და კონკურენციის დამკვიდრების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული პრივატიზაციის პროცესის დაწყებიდან შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაო და პრივატიზაციის განვლილ ეტაპზე მიღწეულია დადებითი შედეგები. დღესდღეობით ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა, დღის წესრიგში დადგა უცხოური ინვესტიციებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის საკითხი, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტურობის ამაღლება. ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესი მთლიანად ქონების მართვის სამინისტროს ხელშია მოქცეული, რაც არ შეიძლება დადებით ფაქტორად არ ჩაითავლოს.

ქონების მართვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა ბრძანება პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმების შესახებ „სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“.

კონკურსის ფორმით გაყიდვის მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც გამყიდველს ყველაზე უკეთეს პირობას შესთავაზებს. სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის მიხედვით კონკურსი შეიძლება იყოს კომერციული ან საინვესტიციო. კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ხოლო საინვესტიციო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და გამყიდველის მიერ დადგენილი საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად

განსაზღვრულ ვადაში საპრივატიზებო ქონებაში ინვესტიციების მაქსიმალური დაბანდება.

სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით პრივატიზებას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, რისთვისაც 1 წლის ვადით ქმნის 5-7 წევრისაგან შემდგარ მუდმივ მოქმედ საკონკურსო კომისიას, რომელიც ამზადებს და ატარებს კონკურსს, ასევე ამტკიცებს მის შედეგებს.

კონკურსში მონაწილემ უნდა გადაიხადოს „ბე“, რომლის სიდიდეს განსაზღვრავს კომისია და რომლის მოცულობაც უნდა შეადგენდეს საპრივატიზაციო ობიექტის ღირებულების მინიმუმ 10 პროცენტს.

გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია სახელმწიფო ვალდებულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაფაროს გადასახდელი საბოლოო ფასის არანაკლებ 51%, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება და დადგენილ „ბე“-ს, მინიმალური ზღვარი (10%) არ უბრუნდება. გამარჯვებული ვალდებულია 2 წლის ვადაში გრაფიკის მიხედვით გადაიხადოს დარჩენილი გადასახადი თანხა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

მყიდველი ვალდებულია კონკურსით შექმნილი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შემდეგ გამოყენებისას დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს გამყიდველს. საკონკურსო პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია დაფაროს ნაწილობრივად დადგენილი ქონების ფასის 10%-ით. საკონკურსო პირობების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად ჩაშალოს ხელშეკრულება, მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების გაყიდვის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს. ამ ფორმით სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების

პრივატიზაციას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. მათ შეუძლიათ შეასრულონ გამყიდველის ფუნქციები უშუალოდ, ან შუამავლის მეშვეობით, რომელსაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს სათანადო უფლებამოსილება.

აუქციონი შეიძლება იყოს ღია და დახურული, ანუ სპეციალიზირებული აუქციონი. გამყიდველი ყოველი აუქციონის დაწყებამდე სულ ცოტა 1 თვით ადრე აქვეყნებს ინფორმაციას აუქციონის და პრივატიზირებადი ობიექტის შესახებ, ყოველი კონკრეტული აუქციონის ორგანიზებისათვის ქმნის სააუქციონო კომისიას შემდგარს 3-5 წევრისაგან.

მყიდველმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა აუქციონში უნდა გადაიხადოს „ბე“, რომელიც საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასის მინიმუმ 10 პროცენტს შეადგენს. თუ გამარჯვებული უარს აცხადებს დადგენილი თანხის გადახდაზე, მაშინ მას არ უბრუნდება გადახდილი „ბე“. „ბე“ არ უბრუნდებათ მონაწილეებს იმ შემთხვევაშიც, თუ მონაწილეები ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, ან არ გამოცხადდნენ აუქციონზე.

აუქციონის შედეგების მიღების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში მყიდველმა უნდა გადაიხადოს თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და დადგენილი „ბეს“ მინიმალური ზღვარი არ უბრუნდება.

იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვამდე, მოიჯაროსათვის სამეურნეო და სხვა საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის, მატერიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობისა და სარგებლობის უფლების მინიჭება. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად

დაკმაყოფილება და გამოსასყიდლად საიჯარო ქონებაზე მაქსიმალური ფასის გადახდა.

კონკურსში მონაწილე წინასწარ იხდის „ბე“-ს, რომლის მოცულობა გამოსასყიდი ობიექტის ღირებულების მინიმუმ 10 პროცენტს შეადგენს. საიჯარო ქირის ყოველწლიური რაოდენობა შეადგენს გამოსასყიდი საიჯარო ქონების საბოლოო ფასის 10%-ს, რომლის გადახდა ხდება თანაბარი პროპორციით, დარჩენილი გამოსასყიდი საიჯარო ქონების წილიდან. ამასთანავე მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო ქირის სრული ოდენობა.

მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში დაფაროს საიჯარო ქონების საბოლოო ფასის არანაკლებ 51%, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება და დადგენილი „ბეს“ მინიმალური ზღვარი (10%) არ უბრუნდება. არაუმეტეს 10 წლის ვადაში, დადგენილი გრაფიკის მიხედვით მოიჯარემ უნდა გადაიხადოს საიჯარო ქონების დარჩენილი გადასახდელი თანხა, საიჯარო ქირა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

მოიჯარეს მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს, გააქირავოს, იჯარით გასცეს, გირაოში ჩადოს იჯარა გამოსყიდვით გაცემული ქონება.

მოიჯარე ვალდებულია იჯარა-გამოსყიდვით აღებული სახელმწიფო ქონების გამოყენებისას დაიცვას საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს მეიჯარეს. საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე ღებულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდება საიჯარო ქონების საბოლოო ფასის 10%-ით. საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა განმეორებით დაუტყველობის შემთხვევაში განიხილება საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივა მეიჯარის მხრიდან. მოიჯარეს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ განეული დანახარჯები.

პირდაპირი მიყიდვის ფორმით გაყიდვის მიზანია გასასყიდი სახელმწიფო ქონების თავისებურებიდან გამომდინარე ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნესგეგმების საფუძველზე. პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო ქონების მიმართ მოთხოვნები ითვალისწინებს სანარმოს მომგებიანად ამუშავებისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვას და სხვა პირობებს გამომდინარე სანარმოს თავისებურებებიდან.

პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონებაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების

მიღების შემდეგ მყიდველი გამოსასყიდ თანხას იხდის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

1998 წლის განმავლობაში პრივატიზაციიდან მიღებულია 72,3 მილიონი ლარი, მათ შორის ცენტრალურ ბიუჯეტში - 46,8 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში - 25,5 მილიონი ლარი

მყიდველი ვალდებულია პირდაპირი მიყიდვის ფორმით შექენილი სახელმწიფო ქონების გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ წლებში ინფორმაცია წარუდგინოს ქონების მართვის სამინისტროს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი ლეზულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდება ქონების საბოლოო ფასის 10%-ით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა განმეორებით დაუცველობის შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივა გამყიდველის მხრიდან, მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ განეული დანახარჯები.

მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის მიზანია სააქციო საზოგადოების წესებით გათვალისწინებული ამოცანების რეალიზაციის ხელშეწყობა და მართვის ეფექტურობის ამაღლება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლება კონკურსით შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. მართვის უფლების კონკურსის წესით გადაცემის საკითხს იხილავს და ორგანიზებას უკეთებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იქმნება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის, ეკონომიკის, შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდეგ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო გამარჯვებულ მონაწილესთან აფორმებს სათანადო ხელშეკრულებას, რომელიც უნდა შეიცავდეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სააქციო საზოგადოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის საჭირო საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და შესაბამის პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების მქონე პირს ჩამოერთმევა ეს უფლება და არ უნაზღაურდება მის მიერ განეული დანახარჯები.

პრივატიზაციის საქმეში საქართველოში მნიშვნელოვანი წარმატებები არის მიღებული. სულ დღეისათვის პრივატიზებულია 12 860 ობიექტი, სააქციო საზოგადოებად დაფუძნებულია 1144

საწარმო, აქედან 1998 წლის განმავლობაში პრივატიზებულია 1 645 ობიექტი, სააქციო საზოგადოებად დაფუძნებულია 70 საწარმო. დღეისათვის საკონტროლო პაკეტი პრივატიზებულია 840-ზე მეტ სააქციო საზოგადოებაში. 1998 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან დაგეგმილი იყო 19,7 მლნ. ლარის შემოსვლა, ფაქტიურად 1998 წლის განმავლობაში პრივატიზაციიდან მიღებულია 72,3 მილიონი ლარი, მათ შორის ცენტრალურ ბიუჯეტში - 46,8 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში - 25,5 მილიონი ლარი. 1998 წელს ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 13,4 მილიონი ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული იქნა 5,2 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში - 7,5 მილიონი ლარი.

იჯარა-გამოსყიდვის წესით პრივატიზებული ობიექტებიდან მიღებულია 4,2 მილიონი ლარი, კონკურსის წესით პრივატიზებული ობიექტებიდან - 49,8 მილიონი ლარი, ჯანდაცვის სფეროს ობიექტების პრივატიზებიდან — 600 ათასი ლარი, სპეციალიზირებული აუქციონებიდან - 1,9 მილიონი ლარი. 1998 წელს აქციონათა ნულოვანი საწყისი ფასით სპეციალიზირებული აუქციონებიდან შემოსულია 4,8 მილიონი ლარი, საიდანაც ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხულია 2,8 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში - 1,8 მილიონი ლარი.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებამ და საქართველოსადმი უცხოელი ინვესტორების სულ უფრო მზარდმა დაინტერესებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი სფეროს ობიექტების პრივატიზების საკითხი, როგორცაა ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და ა.შ. ამას თავად სახელმწიფომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანით, კერძოდ იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა სათბობ ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, განათლების სფეროების პრივატიზების აკრძალვას.

საქართველოში დღესდღეობით არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა კი მნიშვნელოვნად დააჩქარა ეს პროცესი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომლის პრივატიზებაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, არის ენერგეტიკის სფერო. ენერგეტიკის სექტორის კრიზისადან გამომყვანის ერთ-ერთ რეალურ გზას სათაბობ-ენერგეტიკული

ენერგეტიკის სექტორის კრიზისადან გამომყვანის ერთ-ერთ რეალურ გზას სათაბობ-ენერგეტიკულ სექტორში შემავალი საწარმოების განსახელმწიფოებრიობა წარმოადგენს

სექტორში შემავალი საწარმოების განსახელმწიფოებრიობაა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეტაპობრივად სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრებას, კონკურენტული გარემოს შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. მაგრამ ეს ყველაფერი გეგმაზომიერად და ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერგეტიკის სექტორში პრივატიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას, სახელმწიფო ხელისუფლების მისთვის არათვისობრივი სამეურნეო ფუნქციისაგან განთავისუფლებას, უცხოური და შიდა ინვესტიციების მოზიდვას და მის გამოყენებას საქართველოს ენერგეტიკის განვითარებისათვის.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს სათაბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული აქვს ენერგოსისტემის კომპანიების განსახელმწიფოებრიობის განხორციელების სტრატეგია, რომლის ძირითადი მიზნებია:

- რესტრუქტურული ზაციის შედეგად რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; რეგულირების ფუნქციებისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა.
- ეტაპობრივად სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია; საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება; კონკურენტული გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- გ) საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ელექტროენერჯის წარმოების გაზრდა და მიწოდების უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა; ელექტროენერგეტიკის ბაზრის ფორმირებისათვის ხელის შეწყობა; ელექტროენერგეტიკის სექტორში წარმოების აფექტიანობის ამალღება; ენერგოსისტემის ტექნიკური და მმართველობის. დონის გაუმჯობესება; საფინანსო დისციპლინის დაცვა და ელექტროენერჯის მომხმარებლის მომსახურების

გაუმჯობესება:

ელექტრო ენერგეტიკის დარგში პრივატიზების პროცესი 1992 წლიდან დაიწყო. საქენერგოს დაქვემდებარებული 30 მცირე შიდრო ელექტრო სადგურიდან სხვადასხვა ფორმით პრივატიზებული იქნა 19, რომელთა სიმძლავრე ქვეყნის ელექტრო სადგურების საერთო სიმძლავრის 2,2 პროცენტს შეადგენს.

ელექტრო ენერგეტიკაში პრივატიზაციის საწყისი ეტაპი, რომელიც მცირე შიდრო ელექტრო სადგურების კერძო საკუთრებაში გადასვლას გულისხმობდა, შეიძლება ითქვას, რომ ეფექტურად განხორციელდა,

რაზეც მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამუშავდა „კაბალქესი“, რომელიც 1991 წლიდან არამუშაობდა, 1994 წელს პრივატიზების შემდეგ ამუშავდა „ხერთვის ჰესი“. კერძო მესაკუთრის ხელში გადასვლის შემდეგ ამუშავდნენ ასევე „იგოეთქესი“, „მარტყოფქესი“, „თეთრი ხევის ჰესი“, „მისაქციელ ჰესი“ და ა.შ.

ენერგეტიკის სფეროში პრივატიზების პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველოს ენერგოსისტემის კომპანიების განსახელმწიფოებრიობის სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ელექტრო ენერგეტიკის კომპანიების ბაზაზე, მოქმედი კანონმდებლობით დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების აქციათა საკონტროლო პაკეტების პრივატიზება კონკურსის წესით.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს „მერი ლინჩს“, „კანტორს“ და KPMG -ს მიანიჭა უფლება წარემართათ სექტორის პრივატიზება და მოექმნათ პოტენციური ინვესტორები.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი 66 ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანია, რეგიონალური მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინებით და გამანაწილებელი ქსელების ტექნიკური შესაძლებლობების მხედველობაში მიღებით, გაერთიანდა ოთხ ძირითად ჯგუფად, რომლებიც შესაბამისად ემსახურებიან თბილისს (თელასი), აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. გარკვეულწილად ჩამოყალიბდა ოთხი ერთგვაროვანი ბლოკი.

საინვესტიციო ბანკ „მერი ლინჩის“ მეშვეობით, რომელიც ამჟამად ასრულებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და სათაბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ფინანსური მრჩევლის ფუნქციას, შემუშავებული იქნა კონკურსის პირობები.

სხვა პირობაბთან ერთად კონკურსის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად განისაზღვრა საჭირო

ინვესტიციების განხორციელება ენერგოსექტორის საწარმოთა ტექნიკური რეაბილიტაციისათვის.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ძირითად კრიტერიუმად ენერგო საქტორის

პროცენტზე მეტი.

საქართველს ქონების მართვის სამინისტრომ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად და საინვესტიციო ბანკ „მერი ლინჩის“ დახმარებით, გენერაციის სფეროს მიკუთვნებული საწარმოების

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი 66 ელექტროენერგიის გამანადილეხელი კომპანია გაერთიანდა ოთხ ძირითად ჯგუფად, რომლებიც შესაბამისად მესახურებიან თბილისს (თელასი), აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას

- შიდრო ელექტრო სადგურების ბაზაზე დააფუძნა სააქციო საზოგადოებები. განსაზღვრულია გრძელვადიანი კონცესიით 20-25 წლით, ან აქციათა არანაკლებ 75 პროცენტის

საწარმოთა რეაბილიტაციისათვის საჭირო ინვესტიციების განხორციელებასთან ერთად განისაზღვრა პოტენციური მყიდველის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, საწარმოს დავალიანების წინასწარ განსაზღვრულ ვადაში დაფარვის შესახებ.

სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვალდებულება მოენერგებინა ელექტრო ენერგეტიკის სატარიფო სისტემა, ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა ელექტრო ენერგიის ტარიფების გრძელვადიან პოლიტიკას, რასაც ინვესტორები უმთავრესად მიიჩნევენ.

ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების მიზნით შექმნილმა მუდმივ-მოქმედმა საკონკურსო კომისიამ უკვე განხორციელა სააქციო საზოგადოება „თელასის“ აქციათა პაკეტის 75 პროცენტის პრივატიზება, რის შედეგადაც ბიუჯეტმა უკვე მიიღო 40,3 მილიონ ლარამდე.

პარალელურად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად და საინვესტიციო ბანკ

1999 წლის პირველ პერიოდში გამოცხადებულ უნდა იქნას საერთაშორისო ტენდერები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ელექტროენერგიის გამანადილეხელი კომპანიების აქციათა პაკეტების არანაკლებ 75%-ის პრივატიზების მიზნით

„მერი ლინჩის“ დახმარებით დაინყო მუშაობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ელექტროენერგიის გამანადილეხელი კომპანიების პრივატიზების საკითხზე, შესაბამისი რაიონული ენერგოკომპანიების აქციების დაჯგუფების გზით. გეგმით 1999 წლის I პერიოდში გამოცხადებული უნდა იქნას საერთაშორისო ტენდერები აქციათა პაკეტების არანაკლებ 75%-ის პრივატიზების მიზნით.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს ენერგოსისტემის გამანადილეხელი ენერგოკომპანიების დარჩენილი საწარმოების, რომლებიც ორ პაკეტად იქნება გაერთიანებული, განსახელმწიფოებრიობისათვის. ამასთან გასაყიდად გამოტანილი უნდა იქნას თითოეული საწარმოს აქციების 50

გადაცემა პოტენციურ ინვესტორებზე გენერაციის შემდეგი საწარმოებისა: „ლაჯანურჰესი“, „ტყიბულჰესი“, „შაორჰესი“, „ხრამ ჰესი-1“, „ხრამ ჰესი-2“, „ვარციხეჰესის კასკადი“. „რიონჰესი“, „გუმათჰესი“, თბილისის „თბოელექტროცენტრალი“, „თბილსრესი“ და „ზაჰესი“.

„ორთაჭალჰესის“ შესაძლო პრივატიზება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონტრაქტი აღნიშნული ობიექტის იჯარის შესახებ იურიდიულად ძალადაკარგულად ჩაითვლება.

დაგეგმილია აგრეთვე სახელმწიფო კომპანია „საქენერგო გენერაციის“ მცირე შიდროელექტროსადგურების: მაჭახელაჰესი, აჭიჰესის, კინკიშაჰესის, შატილჰესის, ლორეშაჰესის, ყაზბეგჰესის, კეხვისჰესის, დაარხოტისჰესის პრივატიზება.

საინვესტიციო ბანკი „მერი ლინჩი“

უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების გასაყიდად ან მართვის უფლების გადასაცემად საინფორმაციო მემორანდუმების მომზადებას და მოიზიდავს სტრატეგიულ ინვესტორებს. ამასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პოტენციური ინვესტორის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საჭირო ინვესტიციების განხორციელების მექანიზმი, გრაფიკი და საბანკო გარანტიები.

გენარაციის სფეროს მიკუთვნებული საწარმოების ბაზაზე დააფუძნებული, ზემოთ ჩამოთვლილი სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების საერთაშორისო ტენდერით პრივატიზების ან მართვის უფლების გადაცემის მიზნით ტენდერის გამოცხადება 1999 წლის I იანვრიდან უნდა დაწყებულიყო.

მაშასადამე, როგორც ხედავთ ძალზე დიდი

მუშაობა იქნა განუხლები ელექტრო ენერგეტიკის სფეროში პრივატიზაციის მხრივ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ამ მიმართულებით განუხლები მუშაობა არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს, იგი მაინც გარკვეული ხარვეზებით, გარკვეული ნაკლოვანებებით განხორციელდა. ეს ძირითადად

სახელმწიფო ენერგეტიკაში კვლავ მონოპოლისტად რჩება. კერძო საკუთრებაში მხოლოდ „თელასის“ აქციათა საკონტროლო პაკეტია. იმისათვის, რომ ენერგეტიკული დარგი ფეხზე დადგეს, მოისპოს ენერგოკრიზისი და მომხმარებელთა უფლებებიც მაქსიმალურად დაცული იყოს აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება.

გენერაციის სფეროს საბაზო საზოგადოებების აქციათა პაკეტების საერთაშორისო ტენდერით პრივატიზების ან მართვის უფლების გადაცემის მიზნით ტენდერის გამოსცხადება 1999 წლის 1 იანვრიდან უნდა დანახავულიყო

ამ კუთხით საინტერესოა საზღვარგარეთის გამოცდილება. თითქმის ყველაგანვითარებულ სახელმწიფოში ელექტროენერგეტიკულ

„თელასის“ განსახელმწიფოებრიობას ეხება. რა თქმა უნდა „თელასის“ პრივატიზაციის ფაქტი არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკონტროლო პაკეტის მიყიდვისას უცხოელებზე, აქციათა 51 პროცენტით შემოფარგვლა შეიძლებოდა, რასაც არ შეიძლება ძალიან ემოქმედა ფასზე. შემდგომში კი „თელასის“ ნორმალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მოინდომებდა თავისი წილის 25 პროცენტით შემოფარგვლას, შეეძლო გაეყიდა აქციათა „ზედმეტი“ 24 პროცენტი, რითაც მოიზიდავდა კაპიტალს (არ არის აუცილებელი პაკეტის ერთ ლიტად გაყიდვა) ისეთი ინვესტორებისაგან, რომლებსაც მართალია არ გააჩნიათ გამოცდილება ამ საქმის წარმოებაში, მაგრამ გააჩნიათ კაპიტალი. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ იყო ქართული კაპიტალის აქტიური მონაწილეობა აქციათა პაკეტის შექმნაში, რითაც მთლიანად ქვეყანა კიდევ უფრო მოგებულ იქნებოდა.

სექტორს კერძო კომპანიები აკონტროლებენ. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში გენერაციის, გადაცემისა და დისტრიბუციის სფეროები 100 პროცენტით პრივატიზებულია. გერმანიაში სახელმწიფო გენერაციის დარგში მხოლოდ 20 პროცენტს აკონტროლებს, დისტრიბუციაში - 40 პროცენტს, ხოლო გადაცემა მთლიანად კერძო სექტორის ხელშია. გენერაციის მნიშვნელოვანი წილია პრივატიზებული პორტუგალიაშიც (45%). ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ საფრანგეთი და იტალია წარმოადგენს, სადაც სახელმწიფო თითქმის მთლიანად აკონტროლებს ელექტროენერგეტიკულ სექტორს.

მიუხედავად ელექტრო ენერგეტიკის საქმეში უკვე გადადგმული ნაბიჯებისა ჯერ-ჯერობით

საკმაოდ კარგად მიდის ელექტროენერგეტიკული სფეროს პრივატიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებშიც. მაგალითად, დისტრიბუციის სფერო 100 პროცენტით კერძო სექტორის ხელშია არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში და უნგრეთში. ამასთან არგენტინასა და ჩილეში მთლიანად პრივატიზებულია გენერაციაც და გადაცემაც. ამ სფეროების განსახელმწიფოებრიობა თანდათან დაიწყო

ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული პრივატიზაცია

	გენერაცია		გადაცემა		დისტრიბუცია	
	სახ. წილი	კერძო	სახ. წილი	კერძო	სახ. წილი	კერძო
საფრანგეთი	100%	0%	100%	0%	100%	0%
გერმანია	20%	80%	0%	100%	40%	60%
იტალია	85%	15%	100%	0%	95%	5%
პორტუგალია	55%	45%	100%	0%	100%	0%
ესპანეთი	0%	100%	100%	0%	0%	100%
გაერთიანებული სამეფო	0%	100%	100%	0%	0%	100%
არგენტინა	0%	100%	100%	0%	0%	100%
ბრაზილია	80%	20%	100%	0%	0%	100%
ჩილე	0%	100%	80%	20%	0%	100%
უნგრეთი	100%	0%	100%	0%	0%	100%
მექსიკა	100%	0%	100%	0%	100%	0%
პოლონეთი	95%	5%	100%	0%	100%	0%
რუსეთი	50%-ზე ნაკლები	50%-ზე მეტი	50%-ზე ნაკლები	50%-ზე მეტი	50%-ზე ნაკლები	50%-ზე მეტი

ბრაზილიაშიც. აქ გენერაციის და გადაცემის 20 პროცენტს უკვე კერძო კომპანიები აკონტროლებენ. ჯერჯერობით ამ სფეროს პრივატიზაცია არ მომხდარა მექსიკაში და პოლონეთში, სადაც სახელმწიფო უპირობო მონოპოლისტია. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს პოლონეთში დაიწყო გენერაციის სფეროს პრივატიზება და 5 პროცენტი უკვე კერძო სექტორმა შეისყიდა.

საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს ელექტროენერგეტიკის სფეროს პრივატიზაციის პროცესი რუსეთშიც. აქ გენერაციის, გადაცემის და დისტრიბუციის სფეროები ნახევრად სახელმწიფო და ნახევრად კერძო კომპანიების კონტროლის ქვეშაა.

პრივატიზაციის პროცესი დაიწყო სათბობ-ენერგეტიკის სფეროში შემავალ სხვა დარგებშიც. კერძოდ, გაზის მეურნეობის დარგში დამტკიცებული იქნა იმ ობიექტთა ნუსხა, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას. მათ საკონტროლო პაკეტებს დროებით სახელმწიფო იტოვებს. გაზის მეურნეობის ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ აქციათა 51 პროცენტი მართვის უფლება დროებით გადაეცათ ქალაქების და რაიონების მერიებსა და გამგეობებს, ხოლო სამინისტროების ტერი-

ტორიულ ორგანოებს დაევალებათ დარჩენილი გაზის საწარმოების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად.

ამჟამად გაზის მეურნეობის სექტორში 42 სააქციო საზოგადოებაა დაფუძნებული. აქციათა 100 პროცენტი პრივატიზირებულია 7 საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოება „საქტრანს-გაზმრენვის“ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების მართვის უფლება 5 წლის ვადით გადაეცა სააქციო საზოგადოება „ინტერგაზს“, ხოლო სააქციო საზოგადოება „საქთხევადგაზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები - სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს.

გაზის სფეროში პრივატიზაციის პროცესს გარკვეული ხარვეზები სდევს თან, კერძოდ „თბილგაზის“ აქციათა პაკეტის 76 პროცენტის გაყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული სააქციო საზოგადოება „საქგაზი“ უარს აცხადებს საბოლოო ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ მოტივით, რომ არ განხორციელდა 35 მილიონი ლარის კრედიტორული დავალიანების ჩამონერა, რაც უნდა განხორციელებულიყო სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. ამასთან „თბილგაზი“

ითხოვს „ბე“-ს სახით გადახდილი 600 ათასი აშშ დოლარის დაბრუნებას.

რაც შეეხება ნახშირის მრეწველობას, დამტკიცებულია ნახშირის მრეწველობის რესტრუქტურისაციის გეგმა. გეგმიდან გამომდინარე დაფუძნებულია სააქციო საზოგადოება „ტყიბულნახშირი“ და „პროგრესი“, რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტი - 51 პროცენტი, დროებით შესაძლო ინვესტორის მიერ ამ დარგის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის მიზნით საჭირო ინვესტიციების განხორციელებამდე, დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ პროცესის პარალელურად მოხდება იმ სავაჭრო, მომსახურების სფეროს და სოც-კულტურული დანიშნულების ობიექტების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებიც არ იქნა შეტანილი ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოებების სანესდებო კაპიტალში.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების საქმეში დიდი როლი ენიჭება ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზაციის ღონისძიებების გატარებას, სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურებაზე ტარიფების მონესრიგებას, მმართველობის ცენტრალური ორგანოების მისთვის არათვისობრივი სამეურნეო ფუნქციებისაგან

საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციას, როგორც საერთაშორისო კავშირგაბმულობის, ისე ადგილობრივი ქსელების განვითარებისათვის

განთავისუფლებას. ყოველივე ამან ტელეკომუნიკაციის სექტორი უნდა აიყვანოს თვისობრივად ახალ საფეხურზე, რაც შესაძლებელ გახდის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველყოფას.

საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, როგორც საერთაშორისო კავშირგაბმულობის, ისე ადგილობრივი ქსელების განვითარებისათვის.

ტელეკომუნიკაციის სექტორში საწარმოთა პრივატიზების საერთო მიზნებია:

რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა, აღნიშნულის შედეგად სექტორში რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა.

სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება, კონკურენციული გარემოს შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ტელეკომუნიკაციის სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მისი უწყვეტი და მდგრადი ფუნქციონირება, მართვის ორგანიზაციის დონის ამაღლება,

კავშირგაბმულობის ბაზრის ფორმირების ხელის შეწყობა, საფინანსო დისციპლინის ამაღლება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტრო ემზადება ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზების ფართომასშტაბიანი პროცესის დასაწყებად.

განსახელმწიფოებრიობის მიზანია პრივატიზაციის პროცესში სტრატეგიული ინვესტიორის მოზიდვა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება დარგში მსხვილი ინვესტიციის ჩადება, რაც თავისთავად განაპირობებს საქართველოს ტელეკომუნიკაციის დარგის განვითარებას. მიზანშეწონილია ტელეკომუნიკაციის ყველა მიმართულების თანაბარი განვითარება, როგორცაა სოფლის, ქალაქის, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო, ადგილობრივი და ქალაქის კავშირგაბმულობის ობიექტები, ტელერადიომალსახველობის ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს განზრახული აქვს ტელეკომუნიკაციის ობიექტების პრივატიზებისათვის გამოაცხადოს საერთაშორისო ტენდერი, რათა სტრატეგიული პარტნიორის შერჩევა მოხდეს სრული ობიექტურობისა და გამჭვირვალობის საფუძველზე.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პრივატიზების პროცესის გეგმაზომიერი წარმართვისათვის აუცილებელი საკანონმდებლობა:

— საქართველოს კანონი ინვესტიციების შესახებ

— საქართველოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“

— საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“

— სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც საერთაშორისო დონის დოკუმენტიები.

პრივატიზების სწრაფად და შეუფერხებლად წარმართვისათვის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად მომზადებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი, რომლის ძალითაც პრივატიზებას დაექვემდებარება საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობა, საფოსტო კავშირი, ტელერადიომალსახველობის ტექნიკური საშუალებები.

ამრიგად, უმოკლეს ვადაში კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგი მთლიანად ლიბერალიზებული გახდება.

დღეისათვის საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორს შემდეგი სახე აქვს:

— საქართველოს სახელმწიფო სექტორში არსებული ტელეფონების დაახლოებითი რაოდენობაა 510 000; მათ შორის:

ბინის - 440 000;

ციფრული სატელეფონო ნომრების რაოდენობა - 180 000;

საერთაშორისო არხების რაოდენობა - 300;

— რადიო სარელეო ხაზების სიგრძე - 3 000 კმ.

— სატელეფონო ნომრების რიცხვი ქ. თბილისში - 270 000 ნომერი, მათ შორის:

ციფრული - 70 000

კერძო სექტორის - 30 000

— სატელეფონო სიმკვრივე თბილისში დაახლოებით 25 ნომერი/100 აბონენტზე;

— სატელეფონო სიმკვრივე ადგილობრივ ქსელებში დაახლოებით 10 ნომერი/100 აბონენტზე.

— ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა - 734; მათ შორის:

დეკადურ-ბიჯური - 45;

კოორდინატული - 647;

კვაზი ელექტრონული - 19.

— ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა თბილისში - 37, მათ შორის:

დეკადურ-ბიჯური - 10 (დაახლოებით 65 000 ნომერი);

კოორდინატული - 13 (დაახლოებით 105 000 ნომერი);

კვაზი ელექტრონული - 14 (დაახლოებით 100 000 ნომერი).

— მობილური კავშირგაბმულობა GSM 900 დაახლოებით 34 6000 აბონენტი (კერზო სექტორი).

— კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში დარგების მიხედვით გაცემულია და მოქმედებს 540-ზე მეტი ლიცენზია; მათ შორის:

რადიო-სამაუნსებლო კომპანია - 21;

სატელევიზიო კომპანია - 104;

საკაბელო ტელევიზია - 26;

მობილურ ტელეფონ-აპარატების შემოტანა-რეალიზაცია - 71;

საინფორმაციო სამსახური, რეკლამა, ფოსტა - 23;

სადისპეჩერო სამსახური (სერიული ნომრები) - 23;

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ტელეფონ ავტომატებით მომსახურება - 81;

სხვადასხვა - 195.

ტელეკომუნიკაციის ბაზარზე ფუნქციონირებს შემდეგი ოპერატორები;

— ადგილობრივი ოპერატორები:

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ - ძირითადი ოპერატორი (სახელმწიფო სექტორი) განეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 85 პროცენტი;

შპს „ახალი ქსელები“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ - განეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 15 პროცენტი.

— საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ოპერატორები:

შპს „საქართველოს ტელეკომი“ (ერთობლივი საწარმო) მომსახურების მოცულობა დაახლოებით 80 პროცენტი;

სს „ეგრისი“ განეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 15 პროცენტი;

შპს „გუდვილკომი“ განეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 5 პროცენტი.

— მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი (კერძო სექტორი)

შპს „მეგაკომი“ (AMPS სტანდარტი) დაახლოების 600 აბონენტი;

შპს „ჯეოსელი“ (GSM სტანდარტი) დაახლოებით 12 000 აბონენტი;

შპს „მაგთიკომი“ (GSM სტანდარტი) დაახლოებით 22 000 აბონენტი.

ეჭვს არ იწვევს, რომ ტელეკომუნიკაციის სექტორში პრივატიზაციის წარმატებით განხორციელების მიზნით პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს სექტორში არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა წილის პრივატიზება, საერთაშორისო კონკურსის ჩატარებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ამ საწარმოთა საპრივატიზაციოდ მომზადება, შემდგომში მათი წილის გასაყიდად საინფორმაციო მემორანდუმების ჩათვლით. ტელეკომუნიკაციის სექტორის დღევანდელი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვა მოთხოვნებთან ერთად კონკურსის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს ინვესტიციების განხორციელება ტელეკომუნიკაციის საწარმოთა ტექნიკური რეაბილიტაციისათვის.

პრივატიზაციის პროცესის განხორციელებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, მაგრამ მათი მოდელების ცალსახად გადმოღება ყოვლად გაუმართლებელია. განვიხილოთ ჩვენი უშუალო მეზობელის სომხეთის მაგალითი.

1994 წელს სომხეთის კავშირგაბმულობის სისტემაში ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „არმენტელი“, რომელშიც 51 პროცენტი ეკუთვნოდა სომხეთის მხარეს და 49 პროცენტი ამერიკულ კომპანია „ტრანსულდტელეკომს“. ეს გახლდათ ერთადერთი საერთაშორისო ოპერატორი და მის დაქვემდებარებაში იყო საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, ერევნის სატელეფონო ქსელი და სომხეთის სატელეფონო ქსელი.

1996-97 წლებში გამოცხადდა ტენდერი „არმენტელის“ სახელმწიფოს ხელში არსებული

წილის - 41 პროცენტის პრივატიზაციაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღს: „მეტრომედია ინტერნეიშენელმა“, „ოტემ“, „ფრანკ ტელეკომმა“, „დორჩე ტელეკომმა“, და „იტალ ტელეკომმა“. ტენდერში გაიმარჯვა ბერძნულმა კომპანია „ოტემ“, რომელმაც შეიძინა „არმენტელის“ 41 პროცენტი სახელმწიფოს წილიდან და შემდეგ 49 პროცენტი „ტრანსულდტელეკომის“ წილი და გახდა აქციათა 90 პროცენტის მფლობელი.

„ოტეს“ მიენიჭა ექსკლუზიური უფლება საერთაშორისო კავშირებისა 15 წლით და მობილურ ტელეფონებზე 5 წლით.

„არმენტელის“ პრივატიზაციის შედეგად სომხეთის მხარემ მთლიანად 5 წლის განმავლობაში უნდა მიიღოს 443 მილიონი დოლარ, საიდანაც 15 მილიონი დავალიანების გასასტუმრებელი თანხაა.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სომხეთში ტარიფებს არეგულირებს სახელმწიფო წინასწარ შედგენილი მოდელით. ასეთ პირობებში სომხეთში კავშირგაბმულობის სისტემა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს.

მეზობლის გამოცდილების გათვალისწინებით ქართული მხარე არ უნდა გამორიცხავდეს ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზების დროს რამდენიმე წლით გარკვეული ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას რომელიმე ინვესტორისათვის, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში სახელმწიფომ ხელში უნდა დაიტოვოს გარკვეული ბერკეტები, რომლებიც ხელს შეუშლის მონოპოლისტს თავისი მონოპოლიური უფლებების სრულად გამოყენებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში ორი ძირითადი ოპერატორია შპს „საქართველოს ტელეკომი“ და შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „საქართველოს ტელეკომი“ დაფუძნებულია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს (40%), საქართველოს საერთაშორისო სატელეფონო სადგურის (11%), აშშ-ს ფირმა „მეტრომედია ინტერნეიშენელის“ (30%), კვიპროსის ფირმა „ბულკომის“ (19%) მიერ. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს შპს „საქართველოს ტელეკომის“ წილის 55 პროცენტი.

საქართველოს ტელეკომუნიკაციის ბაზარზე ფუნქციონირებს შემდეგი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ოპერატორები:

➤ შპს „ეგრისი“ (კერძო სექტორი), განეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 15 პროცენტს.

➤ შპს „გუდვილკომი“ (კერძო სექტორი), განეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 5 პროცენტს.

➤ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები (კერძო სექტორი) განეული

მომსახურების მოცულობა - 100 პროცენტი, მათ შორის:

- შპს „მეგაკომი“
- შპს „ჯეოსელი“
- შპს „მაგთიკომი“

შპს „საქართველოს ტელეკომი“ არის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის განმახორციელებელი დომინანტი ოპერატორი, რომლის მომსახურების მოცულობა 80 პროცენტია.

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სანარმოა. იგი წარმოადგენს ადგილობრივი სატელეფონო კავშირის განმახორციელებელ ძირითად ოპერატორს, რომლის განუყოფელი მომსახურების მოცულობა შეადგენს 85 პროცენტს.

შპს „საქართველოს ელექტროკავშირს“ კონკურენტების სახით ყავს შპს „ახალი ქსელები“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (ორივე კერძო საკუთრებაშია), რომელთა მიერ განუყოფელი მომსახურების საერთო მოცულობა შეადგენს 15 პროცენტს.

კავშირგაბმულობის ოპერატორების განსახელმწიფოებრიობის სხვადასხვა მოდელია შემუშავებული. ერთ-ერთი მოდელის მიხედვით საჭიროა შპს „საქართველოს ტელეკომისა“ და შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“ გაერთიანება და ერთი მძლავრი საერთაშორისო დომინანტ-ოპერატორის ჩამოყალიბება, რომელშიც შევა ადგილობრივი ტელესაკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილიც (სომხეთის მაგალითის გათვალისწინებით). რა თქმა უნდა ამით მნიშვნელოვნად გაიზრდება საპრივატიზაციო ფასი და შეიქმნება შესაძლებლობა მთელი ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ქსელის თანაბრად განვითარებისა. მაგრამ, ამ მოდელს თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ, მეტად

კავშირგაბმულობის განსახელმწიფოებრიობის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმას წარმოადგენს შედეგები მოდელი, რომლითაც „საქართველოს ტელეკომს“ მიენიჭება ადგილობრივი ოპერატორის ლიცენზია, ხოლო „საქართველოს ელექტროკავშირი“ გახდება საერთაშორისო ოპერატორიც

ძნელი იქნება უცხოელი პარტნიორების დათანხმება და მათი თანხმობის შემთხვევაშიც კი ამ ფაქტმა ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს, რადგან სომხეთისაგან განსხვავებით ჩვენს სახელმწიფოს ჯერ-ჯერობით არ ძალუძს რაიმე გავლენა მოახდინოს სატელეფონო ტარიფებზე კერძო სექტორში, ისეთ სატელეფონო კომპანიებშიც კი როგორცაა შპს „ახალი ქსელები“, რომელიც ადგილობრივი კავშირგაბმულობის მხოლოდ 15 პროცენტს

აკონტროლებს, მონოპოლიის ჩამოყალიბების შემთხვევაში კი, რომელიც გააკონტროლებს მთელ საერთაშორისო კავშირებს და ადგილობრივის 85 პროცენტს, მის საქმიანობაში ჩარევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მეორე მოსაზრების მიხედვით საჭიროა „საქართველოს ტელეკომი“ დარჩეს მონოპოლოსტ საერთაშორისო ოპერატორად, ხოლო „საქართველოს ელექტროკავშირი“ კი დომინანტ შიდა ოპერატორად, რასაც მოჰყვება მათი ცალ-ცალკე პრივატიზება.

რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ძალზედ მიმზიდველი იქნება „საქართველოს ტელეკომის“ აქციათა პაკეტის შექმნა, ხოლო „საქართველოს ელექტროკავშირის“ აქციები ნაკლებად მიმზიდველი დარჩება.

ჩვენის აზრით კავშირგაბმულობის განსახელმწიფოებრიობის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმას წარმოადგენს შემდეგი, თუ „საქართველოს ტელეკომს“ მიენიჭება ადგილობრივი ოპერატორის ლიცენზია, ხოლო „საქართველოს ელექტროკავშირი“ გახდება საერთაშორისო ოპერატორიც, და თითოეულის აქციათა პაკეტი გაიყიდება ერთ ლოტად. ყოველივე ამან პოტენციური ინვესტორისათვის ძალზედ მიმზიდველი უნდა გახადოს ორივე კომპანია. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ტენდერის აუცილებელი პირობები უნდა იყოს ინვესტიციების ჩადება სატელეფონო ქსელების ტექნიკურ გადაიარელებასა და უწყვეტ სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფაში.

ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს ტელეკომუნიკაციის სისტემა ძალზედ მიმზიდველი უნდა იყოს უცხოური ინვესტორებისათვის. ცხადია სტრატეგიული ინვესტორები უნდა დაინტერესდნენ „ტრანს-აზია-ევროპის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის პროექტით მიუხედავად და შანხაის შორის, რომელ მშენებლობაც ახლაც მიმდინარეობს. ეს მაგისტრალი ნოვოროსიისკი-სოჭი-ფოთი

თბილისის გავლით აზერბაიჯანსა და სომხეთის ტერიტორიაზე გაივლის. ამ კუთხით შესაძლებელია ინვესტიციების ჩადება რეგიონალურ, სახელმწიფოთაშორის პროექტებში. არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია აზია-ევროპის სატრანსპორტო მაგისტრალის „ტრასეკას“ და ტრანს-აზია-ევროპის ბოჭკოვანი ოპტიკური საკაბელო მაგისტრალის ერთიან გეგმაში წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ტელეკომუ-

ნიკაციის სისტემის და საერთაშორისო სატრანსპორტო მაგისტრალის ჩართვას ტელეკომუნიკაციის გლობალურ სატელეფონო ქსელში.

საქართველო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მოაქცია მსოფლიო გეოსტრატეგიულ ინტერესთა სფეროში, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა მდებარეობს მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე და მას აქვს კარგი შესაძლებლობა ეფექტურად ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რაც პირველ რიგში საჭიროებს გამართული სატრანსპორტო სისტემის არსებობას. რა თქმა უნდა გამართულობა და კერძო საკუთრება იდენტური მცნებები არ არის, მაგრამ როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, საგრძნობლადაა ერთმანეთზე დამოკიდებული.

დღემდე სატრანსპორტო სფეროში მიმდინარე განსახელმწიფოებრიობის პროცესი ყველაზე მეტად შეეხო საავტომობილო ტრანსპორტს, სადაც პრივატიზებულია 12 500 ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა რეალიზაციიდან სახელმწიფომ მიიღო 7,532 მლნ აშშ დოლარი. ამის გარდა, კერძო მესაკუთრემ ავტოტრანსპორტის შეძენის შემდეგ სახელმწიფოს გადაუხადა: ა) მფლობელობაში გადაცემის უფლებისათვის - 1 მლნ. აშშ დოლარი; ბ) ლიცენზია მოპოვება-ექსპლუატაციისათვის - 0,1 მლნ. აშშ დოლარი; გ) ტრანსპორტის ექსპლუატაციისათვის ფიქსირებული გადასახადი წელიწადში 1,57 მლნ. აშშ დოლარი; სულ - 10,193 მლნ. დოლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ყოველ მომდევნო წელს მიიღებს 1,57 აშშ დოლარს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციისათვის დაწესებული ფიქსირებული გადასახადისაგან.

1993 წლიდან საავტომობილო ტრანსპორტის სანარმოებს და და ორგანიზაციებში დაიწყო პრივატიზების მეორე ეტაპი - სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება. ამჟამად ქვეყნის

რკინიგზის სისტემაში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო მისი ინფრასტრუქტურის (არასანარმოო დანიშნულების) ორასამდე ობიექტის განსახელმწიფოებრიობით

სავტომობილო სექტორში შექმნილია 100-ზე მეტი სააქციო საზოგადოება, მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტში - 84, საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროში - 11, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროში - 5, და ა.შ. გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული ტრანსპორტის სხვა დარგების პრივატიზაციის საქმეში.

„საქართველოს რკინიგზის ინსტიტუციონალური მონეობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე

დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველს რკინიგზა“.

რკინიგზის სისტემაში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო მისი ინფრასტრუქტურის (არასანარმოო დანიშნულების) ორასამდე ობიექტის განსახელმწიფოებრიობით. შემდგომში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განხილული იქნება საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურისა და საკითხი. ამასთანავე, არსებული საერთაშორისო გამოცდილების სრულყოფილი ანალიზის შემდეგ შესაძლებელი იქნება მეტროპოლიტენის პრივატიზაცია.

1998 წელს, „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრაციაში გატარდა სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ და განხორციელდა მისი აქტივების ხელახალი შეფასება. ამჟამად შემუშავებულია საკონკურსო პირობები.

უკვე დაფუძნდა სააქციო საზოგადოებად „თბილისის აეროპორტი“, რომლის აქციათა 100 პროცენტი ჯერ კიდევ რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

სატრანსპორტო სფეროს პრივატიზების საქმეში ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ფოთის ნავსადგურის განსახელმწიფოებრიობა. ფოთი თავისი სტრატეგიული მდებარეობით კავკასიისა და ცენტრალური აზიისათვის ტვირთის გადამცემი ბუნებრივი პუნქტია, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით იგი უმოკლესი და, ამრიგად ყველაზე იაფი, სწრაფი გზაა დასავლეთისაკენ, სავაჭრო ურთიერთობების მქონე კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის.


ფოთის უმთავრესი უპირატესობა TRACECA -ს დერეფანში შერადებით უმოკლესი მანძილია, მაგრამ დღეს მისი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა და სრულიად ადვილი შესაძლებელია დაკარგოს ეს უპირატესობა.

ფოთის ნავსადგურის თვირთბრუნვის მოცულობა 1985 წლიდან მოყოლებული თითქმის 5-ჯერ შემცირდა, მაგრამ 1994 წლიდან ამ მხრივ უკვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები.

დადებითი ძვრები შეიმჩნევა აგრეთვე ტვირთბრუნვის სტრუქტურაშიც, თუ ადრე ტვირთის ძირითად მასას ნაყარი ტვირთი შეადგენდა, დღეისათვის მნიშვნელოვანია შეფუთული და კონტეინერებით გადაზიდული ტვირთის წილი.

მიუხედავად დადებითი ძვრებისა ნავსადგური ბევრად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს თავისი პროდუქტიულობით, რაც თავის გამოხატულებას პოულობს გემების შეფერხებაში, ტვირთგადაზიდვაზე მაღალ ტერიფებში და ა.შ. ფოთის ნავსადგური თავის პროდუქტიულობით

დაახლოებით 25 პროცენტით ჩამოუვარდება შავი ზღვის სხვა პორტებს, რომლებიც მისი უშუალო კონკურენტები არიან. ეს ყველაფერი ძირითადად გამომწვეულია ალჭურვილობის მოძველებით



(რომელთა უმეტესი ნაწილი 20-50 წლისა).

ფოთის ნავსადგურის მოდერნიზაციასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ახლავს ესაჭიროება 12 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიცია და დამატებითი გრძელვადიანი ინვესტიციები 40-დან 140 აშშ დოლარამდე. რა თქმა უნდა, ნავსადგურს არ შესწევს უნარი საკუთარი სახსრებით მოახდინოს ამხელა ინვესტიცია, ისიც აშკარაა, რომ დღევანდელი ფისკალური კრიზისიდან გამომდინარე სახელმწიფოსაც არ გააჩნია შესაძლებლობა ნავსადგურის მოდერნიზაციისა. ნამდვილად არ არის გამართლებული, რომ სახელმწიფომ აიღოს დამატებითი კრედიტები უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან და ამ თანხის დაბანდება მოახდინოს ნავსადგურის ტექნიკურ გადაიარაღებაში. მაშასადამე, ერთადერთი

ნავსადგურების განსახლებიერების დროს სახელმწიფო აუცილებლად უნდა დარჩეს მიწის და ჰიდროტექნიკური შინაგან-ნაგებობების მესაკუთრად

გამოსავლი მიმდინარე ეტაპზე მხოლოდ კერძო ინვესტიციების მოზიდვაა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის ნავსადგურის განსახლებიერების პრობლემა არ გულისხმობს მთლიანად ნავსადგურის (მიწითა და მთელი თავისი ქონებით) უცხო კაპიტალის კერძო საკუთრებაში გადასვლას. სახელმწიფო არ ყიდის ნავსადგურის ძირითად ფონდებს, უბრალოდ იჯარით, 30 ენლის ვადით, გასცემს მას ინვესტორზე ან ინვესტორთა ჯგუფზე, რომლებიც კონკურსში მოიპოვებენ ნავსადგურის ექსპლუატაციის უფლებას. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კი, სახელმწიფო იღებს მოდერნიზირებულ ნავსადგურს, ბიუჯეტიდან ყოველგვარი ხარჯების გაღების გარეშე. მითუმეტეს, რომ მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ნავსადგურების პრივატიზაციის ყველაზე ეფექტური მოდელი, რომელსაც ეკონომიკურად ყველაზე დიდი აღმავლობა მოსდევს, არის მოდელი სადაც

სახელმწიფო გვევლინება მხოლოდ მინისმფლობელად და ძირითადი საშუალებების მესაკუთრედ.

ასეთი მოდელების სხვადასხვა ვარიანტები არსებობს:

ერთ-ერთი მოდელის მიხედვით სახელმწიფო მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს თავის მოიჯარეებს და დიდი რაოდენობით ფონდებს აბანდებს ნავსადგურში.

ეს მოდელი ეგრეთ წოდებული ევროპული მოდელის სახელითაა ცნობილი, მაგრამ მიუხედავად თავისი ეფექტურობისა ყოველად მიუღებელია ჩვენი ქვეყნისათვის (მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით), რადგან არავითარი საშუალება რაიმე მნიშვნელოვანი თანხების გაღებისა და ნავსადგურის მოიჯარესათვის კონკურენციის განწვევისა დღესდღეობით არ არსებობს.

მეორე მოდელი, რომელიც ეგრეთ წოდებული ამერიკული მოდელის სახელითაა ცნობილი, იძლევა ნავსადგურის ოპერატორი კერძო მოიჯარისაგან მსხვილი კაპიტალდაბანდების განხორციელების საშუალებას, სახელმწიფო გარანტიების მეშვეობით. ეს მოდელიც აშკარად გამოუსადეგარია ჩვენი ქვეყნისათვის მოცემულ ეტაპზე.

კიდევ ერთი მოდელი ნავსადგურის მართვისა, რომელიც აშკარად გასათვალისწინებელია ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც სახელმწიფოს მხრიდან კაპიტალის ხარჯვის გარეშე ინვესტორთა ბრუნვისა და ეკონომიკის უდიდეს ზრდას, არის ეგრეთ წოდებული ლათინური ამერიკის მოდელი. აღნიშნულმა დიდი შედეგები გამოიღო კოლუმბიაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინასა და კიდევ მთელ რიგ ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

აღნიშნული მოდელის მიხედვით ხდება ნავსადგურის 100 პროცენტით პრივატიზება. სახელმწიფოს მხრიდან ინიშნება მხოლოდ ადმინისტრაცია.

გარკვეულწილად მისაღებია, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული რუსული მოდელი, რომელიც სანქტ-პეტერბურგის ნავსადგურის განსახლებიერების მაგალითს ეფუძნება. ამ მოდელის მიხედვით მოხდა აქციათა მხოლოდ საკონტროლო პაკეტის - 52%-ის გადაცემა კერძო საკუთრებაში. თუმცა სახელმწიფო არ ერევა ნავსადგურის ექსპლუატაციაში და იგი მთლიანად მინდობილი აქვს კერძო ინვესტორს.

ყველა ზემოთ განხილული მოდელების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვყალიბოთ ფოთის ნავსადგურის პრივატიზების ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მისაღები მოდელი.

ნავსადგური განსახლებიერების პრობლემას რომ უნდა დაექვემდებაროს ეჭვს არ ინვესტ, მაგრამ სახელმწიფო უნდა დარჩეს ნავსადგურის

ჰიდროტექნიკური შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ. ნავსადგურში უნდა ინიშნებოდეს სახელმწიფო ადმინისტრაცია, რომელიც იმოქმედებს, როგორც სახელმწიფო მინათმფლობელი და სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. მაგრამ სახელმწიფო, ამავე დროს, არ უნდა მონაწილეობდეს უშუალოდ ნავსადგურის ექსპლუატაციაში. ნავსადგურის ადმინისტრაციამ უნდა მისცეს სააქციო საზოგადოებას ან ერთ მსხვილ ინვესტორს მისი ქონების გამოყენების უფლება, დროის გარკვეული მონაკვეთის გამწავლობაში, 15-დან 30 წლამდე, რაც დამოკიდებული უნდა იყოს დაბანდებული კაპიტალის მოცულობაზე.

დღის წესრიგში დგება საკითხი, თუ აქციათა რა ნაწილი უნდა დაიტოვოს სახელმწიფომ ხელში

და რა ნაწილი ჰქონდეს ინვესტორს. რა თქმა უნდა პოტენციური ინვესტორი უფრო მეტს გადაიხდის და ნავსადგურის მოდერნიზაციაში უფრო მეტ თანხას ჩადებს, თუ ექნება აქციათა საკონტროლო პაკეტი. ამიტომ მიზანშეწონილია სახელმწიფომ კერძო ინვესტორს მიყიდოს აქციათა 51 პროცენტი. საჭიროების შემთხვევაში მას ყოველთვის ექნება საშუალება გაყიდოს დარჩენილ აქციათა ნაწილი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პრივატიზაციის პროცესი საქართველოში ნელ-ნელა წინ მიდის, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ენერჯისისტემის კომპანიების პრივატიზების სტრატეგიის შესახებ“ №403 05.07.1998
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის შესახებ. №776, 29.12.1997
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება „სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისა და სახელმწიფო საკუთრებასი არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ, დებულებების დამტკიცების თაობაზე“. 08.09.1997
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზების სტრატეგიის შესახებ“.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ფოთის საზღვაო ნავსადგურის რესტრუქტურირებისა და პრივატიზების სტრატეგიის შესახებ.“
- კანონპროექტი „საქართველოს ენერჯო სისტემის გამანაწილებელი კომპანიებისა და გენერაციის სფეროს პრივატიზების სამოქმედო პროგრამის შესახებ“
- საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, „ტასისის“ საკოორდინაციო ბიუროს, სემინარის „საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზების გზები“, მასალები.
- „ფოთის საზღვაო, სავაჭრო ნავსადგურის რესტრუქტურისა (პრივატიზაციის) ალტერნატივები“. USAID თბილისი 1997.
- გაზეთი „მესაკუთრე“ 15.01.1999
- საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური ბიულეტენი „პრივატიზისი“ №5 19.02.99.

ეკონომიკური მიმოხილვა

■ დავით ლომიძე

საქართველოში მიმდინარე სტრუქტურულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა თავისი ლოგიკური გაგრძელება 1996-1997 წლებში ჰპოვეს. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ წლებში ეკონომიკური ზრდის შედეგების მიხედვით საქართველო მონინავედ ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და მსოფლიოში მტკიცედ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადმა ქვეყანამ.

ხოლო 1998 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის უმწვავესი გამოდგა. მაკრო-ეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად განხორციელებულმა რეფორმებმა, ეროვნული ვალუტის-ლარის შემოღებამ, ინფლაციური პროცესების კონტროლმა, გაცვლითი კურსის სტაბილიზაციამ, რითაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვამაყობდით, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობის პირობებში კრაზი განიცადა.

1998 წელს ქვეყანაში მიმდინარე საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემებში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა და რიგმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ეროვნულმა მეურნეობამ შეინარჩუნა განვითარების წინა წლებში ჩამოყალიბებული პოზიტიური ტენდენცია - მშპ-ს ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 2,9 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდა, რაც

მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლებში ჩამოყალიბებულ ზრდის ტენდენციას (იხ. დიაგრამა №1) და მისმა ნომინალურმა ღირებულებამ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 6,8 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე 1250 ლარის დონეზე იყო.


1998 წელს მშპ წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2,9 პროცენტით და მისმა ნომინალურმა ღირებულებამ 6,8 მლრდ. ლარი შეადგინა

ამ მაჩვენებლის ზრდის ასეთი დაბალი ტემპი (3,9-ჯერ ნაკლები), უმთავრესად, განაპირობა

ეროვნული მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან

დიაგრამა №1

საქართველოში მშპ-ს ზრდის ტემპი



დარგებში (სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში), შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობის შემცირებამ (შესაბამისად 10 პროცენტით და 2,3 პროცენტით). სამაგიეროდ, მაღალი ტემპებით ვითარდებოდა ტრანსპორტი, სამშენებლო წარმოება და კავშირგაბმულობა, რომელთა ზრდის ტემპებმა, შესაბამისად, 40, 30.9 და 46 პროცენტს მიაღწია.

სასოფლო-სამეურნეო სექტორი საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია. დღესდღეობით მის წილად მშპ-ს მოცულობის 24,7 პროცენტი მოდის. 1998 წელს სოფლის მეურნეობაში მთლიანი პროდუქციის მოცულობამ ფაქტიურ ფასებში 2,6 მლრდ. ლარი შეადგინა.

1998 წელს წინა წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 8 პროცენტით შემცირდა და მოქმედ ფასებში 2,6 მლრდ. ლარი შეადგინა

დღეს, მთელი ქვეყნის ეკონომიკისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობას. როგორც ვიცით იგი არის მთავარი შემოსავლის წყარო

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, რადგან სხვა ეროვნული მეურნეობის დარგებში მაღალია შემოსავლების და-ფარვის ხარისხი და ფაქტობრივად ვერ ხერხდება გადასახადების ამოღება.

1998 წელს მრეწველობაში სულ გამოშვებული იყო 814 361,1 ათასი ლარის პროდუქცია, ეს მაჩვენებელი წინა წელს იყო 841 049,5 ათასი ლარი (ფაქტიურ ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე), ხოლო შესადარ ფასებში - 1998 წელს იყო 811 525,8 ათასი ლარი.

პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი 1998 წელს წინა წელთან შედარებით იყო 97,3 პროცენტი ანუ განიცადა დაცემა. მრეწველობის დარგების მიხედვით, პროდუქციის წარმოების დაცემის მთავარი წილი მოდის გადამამუშავებელ მრეწველობაზე (წლის დასაწყისიდან პროდუქციის წარმოებამ წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 92,4 პროცენტი შეადგინა), სადაც შესადარ ფასებში წინა წელთან შედარებით 39 მლნ. ლარით ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს. მათ შორის მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი დაცემა ჰქონდა კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს დამუშავებას - წინა წელთან შედარებით მიახლოებით 60 მლნ. ლარით შემცირდა ანუ წარმოება შემცირდა 20 პროცენტით.

1998 წელს წინა წელთან შედარებით მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა შემცირდა 2,7 პროცენტით და მისმა ღირებულებამ ფაქტიურ ფასებში შეადგინა 814 მლნ. ლარი

მხარეებს შორის 1998 წელს სამრეწველო საქონლის გამოშვების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ჰქონდა შიდა ქართლს - 59,2 პროცენტი, მაგრამ საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე უმთავრესად იმოქმედა ქ. თბილისში წინა წელთან შედარებით წარმოებული პროდუქციის 26 მლნ. ლარით შემცირებამ. ხოლო წარმოების ზრდა ჰქონდათ შემდეგ რეგიონებს: აფხაზეთს - 136,3 პროცენტი, იმერეთს - 118,6 პროცენტი, აჭარას - 111,3 პროცენტი, მცხეთა-მთიანეთს - 108,1 პროცენტი, ქვემო ქართლს - 107,5 პროცენტი და სამეგრელოსა და ზემო სვანეთს - 101,4 პროცენტი.

რაც შეეხება გადატვირთულ პროდუქციის მოცულობას ფაქტიურ ფასებში სულ საქართველოსათვის 1998 წელს შეადგინა 593 მლნ. ლარი და წარმოებულთან შედარებით შეადგინა 72,9 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ წარმოებული პროდუქციის მეოთხედის გასაღება უჭირთ მენარმეებს. განსაკუთრებით დიდი იყო ნაშთები ქ. თბილისში, რომელმაც შეადგინა 75 მლნ. ლარი. ხოლო მხარეების მიხედვით გადატვირთული პროდუქციის წარმოებულთან პროცენტული შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს აჭარას - 32,6 პროცენტი.

მრეწველობაში მოქმედმა 2 704 მცირე საწარმომ 1998 წელს წინა წელთან შედარებით 7,6

პროცენტით მეტი სამრეწველო საქონელი გამოუშვა. ხოლო, რაც შეეხება მის წილს მთელ მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობაში, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა ორი პროცენტული ერთეულით და შეადგინა 16 პროცენტი.


მიუხედავად იმისა, რომ 1998 წელს საქართველოში მთლიანი წარმოებული პროდუქცია წინა წელთან შედარებით შემცირდა, მცირე საწარმოებმა გვაჩვენეს, თუ როგორ ეფექტურად შეუძლიათ მუშაობა. ამისათვის სახელმწიფომ მკვეთრად უნდა განსაზღვროს პოლიტიკა და რეალურად შეუწყოს ხელი მცირე ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპზე 1998 წლის განვლილ პერიოდში გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბოლო დროს ჩამოყალიბებული შემცირების ტენდენცია და აგვისტოს თვეში რუსეთში განვითარებული მოვლენები.

წინა წლების შედეგების მიხედვით: სამომხმარებლო ფასების დონე 1995 წელს, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 57,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1996 წელს ეს მაჩვენებელი 13,8 პროცენტი იყო, 1997 წელს იგი 7,3 პროცენტს გაუტოლდა (იხ. დიაგრამა №2).

რაც შეეხება 1998 წელს, მაისის თვემდე ფასები ზომიერი ტემპით მატულობდა და ინფლაციის ტემპი 2,3 პროცენტი იყო, ხოლო შემდეგ დაიწყო დეფლაციური პროცესები და ნოემბრის ბოლოს მისი დონე, 1997 წლის დეკემბერთან შედარებით 1,2 პროცენტით შემცირდა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დეკემბერში დაფიქსირდა 12,1 პროცენტის ინფლაცია (წინა წლებში, ასეთი მაღალი

დიაგრამა №2



ინფლაცია თვეში მხოლოდ 1995 წელს დაფიქსირდა). ეს გამოწვეულია, ამ თვეში ეროვნული ბანკის მიერ, მიმოქცევის არხებში დამატებით 42 მლნ. ლარის გაშვებით (იხ. დიაგრამა №3).

1998 წელს ინფლაცია 10,7 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3,4 პროცენტული პუნქტით მაღალია

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იანვარ-ნოემბრის განმავლობაში ფასები გამოირჩეოდა სტაბილურობით და დაფიქსირებული იყო 0,1 პროცენტისანი საშუალოთვიური დეფლაცია, წლის ბოლოს ლარის მკვეთრმა დევალვაციამ გამოიწვია (განსაკუთრებით იმპორტულ საქონელზე),

1998 წელს ექსპორტმა 194 მლნ. აშშ. დოლარი, ხოლო იმპორტმა 1049 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა და ამ მხრივ, საბარაო ვაჭრობაში უარყოფითად შეიძლება შეფასდეს საგარეო დეფიციტის გაზრდილი ზრდა

ფასების მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ცვლილებამ ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე და დეკემბრის თვის ინფლაციამ 12,1 პროცენტი შეადგინა. საყურადღებოა, რომ ფასები გაიზარდა ისეთ იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებზე, როგორცაა: ზეთი და ცხიმი (36,1 პროცენტით), თამბაქოს ნაწარმი (31,7 პროცენტით). საერთო ჯამში 1998 წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 110,7 დონეზე, რაც 4-5 პუნქტით აღემატება ამ პარამეტრის გეგმიურ მაჩვენებელს.

1998 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს საგარეო ბრუნვაში დსო-ს ძველნების წილი 40,4 პროცენტიდან 38,1 პროცენტამდე შემცირდა

ზრდა წინა წელთან შედარებით 342 მლნ. დოლარი იყო. 1997 წელს ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა 1160 მლნ. აშშ. დოლარი გახდა, რაც 276 მლნ. აშშ. დოლარით მეტია წინა წელთან შედარებით, ხოლო 1998 წელს კიდევ გაიზარდა 59 მლნ. აშშ. დოლარით და შეადგინა 1242,6 მლნ. აშშ. დოლარი, რაც 1997 წლის მაჩვენებელს 5 პროცენტით აღემატება. ასევე გაფართოვდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების გეოგრაფია და მათმა რიცხვმა წინა წლის 93-ის ნაცვლად 102-ს მიაღწია.

სამაგიეროდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს სავაჭრო დეფიციტის გამუდმებული ზრდა, კერძოდ თუ 1997 წელს 703,7 მლნ. აშშ. დოლარი იყო, 1998 წელს 854,6 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. ამაზე მიგვიტოთებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ 1998 წელს იმპორტი გაიზარდა 11,1 პროცენტით და ექსპორტი შემცირდა 19,1 პროცენტით.

1998 წელს ექსპორტი 194,0 მლნ. აშშ. დოლარია (იხ. ცხრილი №1), ხოლო იმპორტი 1048,6 მლნ. აშშ დოლარი (1997 წელს — შესაბამისად 239,8 მლნ. და 943,5 მლნ. დოლარი). მთლიანობაში საქართველოს

საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდომ 854,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. (1997 წელს შესაბამისად - 703,7 მლნ. აშშ დოლარი).


საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 1998 წელს (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი №1

	ექსპორტი (F.O.B.)	იმპორტი (S.I.F.)	ბალანსი
საგარეო სავაჭრო ბალანსი, სულ	194028,8	1048607,1	-854578,3
მათ შორის:			
დსო-ს ქვეყნებთან	104106,4	368849,4	-264742,9
არა დსო-ს ქვეყნებთან	89922,3	679757,8	-589835,4

დიაგრამა №3

სამომხმარებლო ფასების პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით



ბოლო წლების დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა. მაგალითად: 1994 წელს მისი მოცულობა საქართველოში იყო 539,2 მლნ. აშშ. დოლარი, 1995 წელს - 542,8 მლნ. დოლარი, 1996 წელს იგი 884 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. ე.ი.

1998 წელს წინა წელთან შედარებით ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი მთელ სავაჭრო ბრუნვაში 0,4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 74,6 პროცენტი შეადგინა. ამ უმსხვილეს პარტნიორებს შორის 1997 წელს გვხვდებოდა დსო-ს 3 ქვეყანა (რუსეთი, უკრაინა და

აზერბაიჯანი) და მთელი სავაჭრო ბრუნვიდან მათ წილად მოდიოდა 33,8 პროცენტი, 1998 წელს — შესაბამისად დსთ-ს 3 ქვეყანის წილი შეადგენს 33,4 პროცენტს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არსებული მძიმე ფინანსური კრიზისის გამო, 1998 წელს ჩვენი ქვეყნიდან ექსპორტი შემცირდა, საქართველოსათვის იგი მაინც ყველაზე მსხვილი პარტნიორ ქვეყნად რჩება (საქართველოს ექსპორტის 28 პროცენტი რუსეთის წილად მოდის).

რუსეთის საფინანსო კრიზისმა გამოიწვია ამ ქვეყანაში სამამულო პროდუქციის გაიარება და ექსპორტის მოცულობის ზრდა, რამაც სექტემბერ-ოქტომბერში მკვეთრი ხასიათი მიიღო. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს სავაჭრო ბალანსი, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა უცხოური ვალუტის შემოდინება და ბაზარზე გამოიწვია დოლარზე

1998 წლის, 1 იანვრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის წმინდა საერთაშორისო რეზერვები 184,9 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, ნაცვლად გაზრდით ბათვალისწინებული 210 მლნ. აშშ. დოლარისა

მოთხოვნის გაზრდა. ხოლო ნოემბერში რუსეთთან საგარეო ვაჭრობა იმ ტენდენციას დაუბრუნდა, რომელიც კრიზისამდე იყო.

ამას თუ დავუმატებთ მოსახლეობაში ინფლაციური მოლოდინის უკიდურეს ზრდას, რაც განპირობებულია იმის შიშით, რომ რუსეთში განვითარებული მოვლენები საქართველოში განმეორებულიყო. შედეგად მოჰყვა დოლარზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა, რაც ძირითადი მიზეზი იყო ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვის 92,2 მლნ. აშშ დოლარამდე (ანუ 127,2 მლნ. ლარამდე) შემცირებისა.

1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე მიმდინარე ცვლილებების შედეგად უცხოური ვალუტის რეზერვმა შეადგინა 118,4 მლნ. აშშ. დოლარი (ნოემბრის თვესთან შედარებით გაიზარდა 48 მლნ. აშშ. დოლარით). აღნიშნული ზრდა განაპირობა გასულ თვეებში გათვალისწინებული და მიუღებელი 58,5 მლნ. აშშ. დოლარის (მსოფლიო ბანკის SAC -ის II ტრანშის 20 მლნ. აშშ. დოლარის, ევროგაერთიანების გრანტის 6 მლნ. ეკიუს, ანუ შესაბამისად ექვივალენტური თანხის 8 მლნ. აშშ. დოლარის და საგადაამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად 16 მლნ. გულდენის, ექვივალენტურია 8,5 მლნ. აშშ. დოლარის, ასევე თელასის პრივატიზაციის 22 მლნ. აშშ. დოლარის) დეკემბრის თვეში მიღებამ. ამის შედეგად წმინდა საერთაშორისო რეზერვები - დეკემბრის თვის დასაწყისიდან გაიზარდა 42,7 მლნ. აშშ. დოლარით

და შეადგინა -184,9 მლნ. აშშ. დოლარი.

ხოლო, რაც შეეხება 1998 წელს - ფულის მასას, იგი შემცირდა: ფართო ფული (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული დეპოზიტები როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში) შემცირდა 4 მლნ. ლარით და შეადგინა 368,5 მლნ. ლარი; ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე - 34 მლნ. ლარით და 261,1 მლნ. ლარამდე შემცირდა; სარეზერვო ფულის მასა (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული

1998 წლის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ლარები მიმოქცევაში შემცირდა 33 მლნ. ლარით და შეადგინა 222 მლნ. ლარი


ბანკებში არსებული სხვადასხვა რეზერვები) - 17 მლნ. ლარით; ლარები მიმოქცევაში - 33 მლნ. ლარით და მიაღწია 222 მლნ. ლარს. ეს გამოიწვია

იმ სავალუტო პოლიტიკამ, რომელიც განახორციელა ეროვნულმა ბანკმა თბსბ-ზე უცხოური ვალუტაზე მზარდი

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები 1998 წელს ძირითადად ემსახურებოდა იმას, რომ არ მომხდარიყო დევალვაცია და ფაქტიურად დაკარგა კურსის სტაბილიზაციის ფუნქცია. ყოველივე ეს განაპირობებდა იმას, რომ სავალუტო რეზერვების შემცირებამ მიიღო შეუქცევადი ტენდენციის სახე და სავალუტო კურსის ცვლილება აუცილებლობას წარმოადგენდა. ამასთან წინა

დიაგრამა №4



წელთან შედარებით შეინიშნებოდა ინტერენციების საშუალო მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია (დიაგრამა №4).

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 1998 წლის

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები" - მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დაზოგვისა და საგადამხდლო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით შეინარჩუნოს რეგულირებადი მცურავი კურსის რეჟიმი, შიდა სავალუტო ბაზარზე განახორციელოს ინტერვენციები ინფლაციის კონტროლისა და ლარის მნიშვნელოვანი საკურსო რყევების თავიდან აცილების მიზნით“. ასევე, ზემოთ თქმული ნორმატიული აქტით, 1998 წელს ეროვნულ ბანკს საერთაშორისო რეზერვები უნდა გაეზარდა 210 მლნ. აშშ. დოლარამდე, რაც ვერ უზრუნველყო (პირიქით დაიწყო გაფლანგვა) და 1999 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 184,9 მლნ. აშშ. დოლარი.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ რომ ეროვნულ ბანკს გააჩნდა, როგორც საფუძველი ასევე რეალური საშუალება (მაგ. 5-6 სექტემბრის სახით) მოეხდინა არჩეული პრიორიტეტის გადახედვა მცურავ სავალუტო კურსის რეჟიმზე გადასვლის სახით და ასევე, დაზოგავდა საერთაშორისო რეზერვებსაც. ამასთან, იმ ადრეულ პერიოდშივე არსებობდა იმის წინასწარმეტყველების

საშუალება, რომ ამჟამად განვითარებული კრიზისი არსებული ტენდენციის შესაბამისად მოხდებოდა. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ

გატარებული ღონისძიებები არარაციონალური იყო.

1998 წელს ფულად-საკრედიტო სისტემაში ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ და მიღებულმა შედეგებმა, შესაბამისად ასახვა ჰპოვა საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე და მიმდინარე ცვლილებების შედეგად წმინდა უცხოური აქტივები შეადგენს -333 მლნ. ლარს, რაც წლის დასაწყისიდან გაიზარდა -227 მლნ. ლარით. ეს უმთავრესად ეროვნული ბანკის მიერ თბსბ-ზე განხორციელებული წმინდა ინტერვენციის ხარჯზე მოხდა.

1998 წელს წინა წელთან შედარებით მთავრობის წმინდა დავალიანება 111 მლნ. ლარით გაიზარდა და 1 იანვრისთვის შეადგინა 507,9 მლნ. ლარი, ხოლო ცენტრალურ მთავრობაზე გაცემული სესხები გაიზარდა 129 მლნ. ლარით. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად განპირობებულია:

• ერთის მხრივ მთავრობაზე გაცემული კრედიტიდან დეკემბრის ბოლოს 32,1 მლნ. ლარის დაფარვით (SAC -ის II ტრანშის 20 მლნ. აშშ. დოლარის მიღების შესაბამისად და დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად გასაცემი სესხების ლიმიტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით)

• მეორეს მხრივ მთავრობის ანგარიშებზე დეპოზიტების 23,6 მლნ. ლარით ზრდით, რაც გამონვეულია „თელასის“ პრივატიზაციის შედეგად შემოსული და გამოუყენებელი

1998 წელს წინა წელთან შედარებით მთავრობის წმინდა დავალიანება III მლნ. ლარით გაიზარდა და 1 იანვრისთვის შეადგინა 507,9 მლნ. ლარი

თანხებით, ასევე ევროგაერთიანების გრანტის 6 მლნ. ეკიუს ექვივალენტი 12,8 მლნ. ლარის საპარტნიორო ფონდის ანგარიშზე ჩარიცხვით.

სხვაწმინდა აქტივები 1998 წლის დასაწყისთან შედარებით 95 მლნ. ლარით გაიზარდა და 1 იანვრისათვის შეადგინა 78 მლნ. ლარი, რაც ძირითადად განაპირობა უცხოური ვალუტის გადაფასების ანგარიშზე აქტიური ნაშთის, აშშ. დოლარის მიმართ SDR -ის და ლარის გაცვლითი

1998 წელს მთავრობის წმინდა დავალიანებას, სხვა აქტივებისა და პანკების წმინდა დავალიანებას მარჯვენაღებში მოხდარი ცვლილებების შედეგად, წმინდა საშინაო აქტივები - წლის დასაწყისიდან გაიზარდა 209 მლნ. ლარით და შეადგინა 592,5 მლნ. ლარი

კურსის ცვლილების შედეგად, 214 მლნ. ლარით ზრდამ, იმავდროულად მთავრობის სესხით სარგებლობისთვის დარიცხული პროცენტებისა და სხვა დებიტორების ანგარიშებზე აქტიური ნაშთების შემცირებამ.

ხოლო, რაც შეეხება ბანკების წმინდა დავალიანებას, იგი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3,1 მლნ. ლარით და მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 6,6 მლნ. ლარი.

სარეზერვო ფული 1998 წლის დასაწყისიდან

1998 წელს საბანკო სექტორში უცხოურ ვალუტაში დოპინირებული დეპოზიტების წილი 69 პროცენტით შეადგინა, რაც წინა წელს 59 პროცენტის დონეზე იყო

შემცირდა 17 მლნ. ლარით და 1 იანვრისათვის შეადგინა 259,7 მლნ. ლარი, მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის თვეში გაიზარდა 5,7 მლნ. ლარით, მათ შორის:

• მიმოქცევაში ნაღდი ფული დეკემბერში

გაიზარდა 42,4 მლნ. ლარით, შეადგინა 222 მლნ. ლარი. მიმოქცევაში ნალდი ფულის ზრდა ძირითადად გამოწვეულია დეკემბერში მთავრობაზე 25 მლნ. ლარის, ხოლო ბანკებზე 4 მლნ. ლარის ოდენობით სესხების გაცემით და აგრეთვე სეპ-ის მიერ თბს-ზე აშშ. დოლარის შესყიდვით განხორციელებული წმინდა ინტერვენციების შედეგად 1,6 მლნ. აშშ. დოლარის ექვივალენტი 3 მლნ. ლარის მიმოქცევაში გაშვებით.

• ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე თანხები გაიზარდა 13,3 მლნ. ლარით, 1 იანვრისათვის შეადგინა 19,7 მლნ. ლარი; „თელასის“ პრივატიზაციის თანხიდან მერიის და ქონების მართვის კომიტეტის კუთვნილი თანხის 10,4 მლნ. ლარის, მათი მომსახურე ბანკის „საქართველოს

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულდა 68 პროცენტით და შეადგინა 666,5 მლნ. ლარი

ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხვით.

• სავალდებულო რეზერვები შემცირდა 4 მლნ. ლარით და შეადგინა 18 მლნ. ლარი, რაც განაპირობა ბანკების დეპოზიტების შემცირებამ.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს - დეპოზიტების თანხა 1996 წლის ბოლოს უტოლდებოდა 78 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 1,4% იყო, ხოლო 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 2,1% შეადგინა, ხოლო 1998 წელს გაიზარდა 23 მლნ. ლარით და 1 იანვრისათვის შეადგინა 156 მლნ. ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური წლის განმავლობაში ლარზე მოთხოვნის დაცემამ და წლის ბოლოს მისმა დევალვაციამ კომერციულ ბანკებში დეპოზიტები (ეროვნულ ვალუტაში) 1998 წელს 6 მლნ. ლარით შეამცირა. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია და გამოხატავს მოსახლეობის უნდობლობას ფულად-საკრედიტო სისტემის მიმართ, რაც უმთავრესად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემის შედეგად მოსახლეობის ანაბრების გაუფასურებით. ასევე თუ დავუმატებთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაბალი შემოსავლების დონესა და დაგროვების უმცირეს ნაწილს, მაშინ ნათლად დავინახავთ მთელ სურათს. მიუხედავად ამისა დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 29 მლნ. ლარით გაიზარდა და დეპოზიტების სტრუქტურაში, 69 პროცენტამდე მიაღწია (1997 წლის ბოლოს ანალოგიური მაჩვენებელი 59 პროცენტი იყო).

ასევე მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე არასრულყოფილია სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო. მიუხედავად ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებული კრიზისა, კომერციული ბანკების მიერ გაცემული შიდა კრედიტები 1998 წელს 54 მლნ. ლარით გაიზარდა და შეადგინა 224 მლნ. ლარი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კომერციული

ბანკებისადმი სანარმოთა დავალიანება (ეროვნულ ვალუტაში) შემცირდა 14 მლნ. ლარით, ხოლო ფიზიკური პირების დავალიანება (ეროვნულ ვალუტაში) გაიზარდა 2 მლნ. ლარით და საერთო დავალიანებამ შეადგინა 83,7 მლნ. ლარი. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს, სანარმოებსა და ფიზიკურ პირებზე, იგი გაიზარდა 77 მლნ. ლარით და შეადგინა 154 მლნ. ლარი.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასანარმოადგენს ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ხელშემწყობ მექანიზმს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები.

1998 წლის სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მიღწეული დონე, რომელმაც გრანტების გარეშე 830 მლნ. ლარს გადააჭარბა (ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით), ხოლო საგადასახადო შემოსავლების მიხედვით კი 509 მლნ. ლარს მიაღწია. შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მოცულობამ (გრანტების ჩათვლით) შეადგინა 666,5 მლნ. ლარი (შესრულდა 68 პროცენტით), ხოლო საგადასახადო შემოსავლების სახით

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მლნ. ლარებში) ცხრილი №2

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სულ შემოსავლები და გრანტები	985.7	666.5	68
სულ შემოსავლები	951.7	598.9	63
საგადასახადო შემოსავლები /მთა შორის/	615.6	331	54
საგადასახადო ინსპექცია	343.7	167.8	49
საბაჟო დეპარტამენტი	271.9	163.1	60
სულ არასაგადასახადო შემოსავლები	102.1	70.6	69
კაპიტალური შემოსავლები	24.3	47	193
სახელმწიფო სპეციალური ფონდები სულ	209.7	150.3	72
სოციალური უზრუნველყოფის ფონდი	162.7	117.1	72
დასაქმების ფონდი	4.3	2.9	67
საგზაო ფონდი	42.7	30.3	71
გრანტები	34	67.5	199

მიღებულ იქნა 330,96 მლნ. ლარამდე სახსრები, რომელიც გეგმასთან შედარებით 54 პროცენტით შესრულდა (იხ. ცხრილი №2).

უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობა საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში არსებულ რთულ კორუფციულ სიტუაციას უნდა მივანეროთ, რომლებმაც ამ წლის საგადასახადო გეგმა შეასრულეს 49 და 60 პროცენტით. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობით ბიუჯეტს დააკლდა 284,6 მლნ. ლარი.

საგადასახადო ინსპექციის მიერ გეგმური

დავალეების შესრულების მდგომარეობა გაუარესდა 1998 წლის მეორე კვარტლიდან, ვინაიდან წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით საგადასახადო ინსპექციის მიერ გეგმური დავალეები 101,5 პროცენტით იქნა შესრულებული. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმით, საგადასახადო ინსპექციის მიერ, უმთავრესად ვერ შესრულდა დღგ (გეგმასთან შედარებით 64,7 პროცენტით შესრულდა) და აქციზი (41,3 პროცენტით შესრულდა).

რაც შეეხება საბაჟო სისტემაში მობილიზებულ საბიუჯეტო შემოსავლებს, იგი 1998 წლის გეგმასთან შედარებით 60 პროცენტით შესრულდა და შეადგინა 209,2 მლნ. ლარი. აქედან, ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხა 163,2 მლნ. ლარი. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დღგ-დან მიღებულ იქნა 80,1 მლნ. ლარი, აქციზი - 24,9 მლნ. ლარი და საბაჟო გადასახადი - 58,1 მლნ. ლარის ოდენობით. უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით ვერ შესრულდა დღგ (შესრულების მაჩვენებელი 87,6 პროცენტი იყო) და აქციზი (24,9 პროცენტით იქნა შესრულებული).

უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს საგარეო ვაჭობაში, თუ არ განვიხილავთ მრავალ ნეგატიურ პროცესებს, მთლიანი ბრუნვა წინა წელთან შედარებით გაიზარდა და შეადგინა 1242,6 მლნ. აშშ დოლარი, მაგრამ მათ შორის ძალიან მცირე ნაწილი ექვემდებარებოდა საგადასახადო დაბეგვრას. რადგან ხდებოდა ისეთი საქონელის იმპორტი, რომელიც თითქმის განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან: რეექსპორტის რეჟიმით განხორციელებული იმპორტი, უცხოური ინვესტიციების ხარჯზე შემოტანილი საიმპორტო საქონელი, ჰუმანიტარული დახმარების ტვირთები და სხვა. ამ მხრივ, აუცილებელია მაქსიმალურად იქნას შემცირებული ყოველგვარი შეღავათები, რომელსაც ბევრი (რეალური გადამხდელი) არის ამოფარებული.

თუ განვიხილავთ თვეების მიხედვით, საბაჟო სისტემაში მობილიზებულ სახსრებს, ნათლად ჩანს, რომ აპრილის თვის შემდეგ შემოსავლები მნიშვნელოვნად მცირდებოდა და უკვე ივნისის თვეში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა -

9 986 ათასი ლარი. ხოლო ოქტომბრის თვეში ყველაზე არასახარბიელოდ შესრულდა გეგმა და შეადგინა 63,6 პროცენტი. ასევე, აღსანიშნავია, რომ მსხვილმა გადამხდელებმა სულ საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეასრულეს 70,4 პროცენტით, რის გამოც ბიუჯეტმა ვერ მივიღო 42,8 მლნ. ლარი.

დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების ვერ უზრუნველყოფა ძირითადად ადმინისტრირებაში არსებული ნაკლოვანებების შედეგია. სათანადო აღრიცხვიანობის არ არსებობასთან ერთად, არ არსებობს ხელისუფლების პოლიტიკური ნება გადასახადების ამოღებასთან დაკავშირებით.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 54 პროცენტით და შეადგინა 331 მლნ. ლარი, ამით შემოსავლების სახით ვერ მივიღეთ 284,6 მლნ. ლარი

რაც შეეხება, 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებს სპეციალური ფონდებიდან, იგი გეგმასთან შედარებით შესრულდა 72 პროცენტით და შემოსავლების სახით ვერ მივიღეთ 59,4 მლნ. ლარი.

ამ პერიოდში შემოსავლების არასაკმარისად მობილიზაციამ გამოიწვია ხარჯების სეკვესტრირება, ამ დროს უმთავრესად შენარჩუნებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები, როგორც ამას ზოგიერთი აღმასრულებელი და პოლიტიკური მოღვაწეები ამბობდნენ. სინამდვილეში, კი ისეთი დაცული მუხლები, როგორცაა ხელფასები, პენსიები და სხვა 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მატერიალური დახმარებები ვერ გაიცა და შემდგომი წლის ბიუჯეტის ტვირთად იქნა გადატანილი, მაშინ როდესაც სრულდებოდა ხარჯების შემდეგი მუხლები: პერსონალური და სამსახურეობრივი ავტომანქანების შენახვა, მობილურების, ტელეფონების მომსახურების ხარჯები და სხვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლის მეორე კვარტლიდან საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში დაწყებულ კრიზისს, წლის ბოლოს „სავალუტო კრახი“ დაემატა და შეირყა წინა წლებში ჩამოყალიბებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკური აღმავლობა. ამით საქართველოს ეკონომიკისათვის, წინა წლის დანატოვარით, 1999 წელი მეტად რთული იქნება.